პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

# კომუნისტი

წელიწადი მეორე
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

17 თებერვალი
პარასკევი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის
ქ. № 4. რედაქცია [illegible]
ყოველ დღე [illegible]
უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 14—76 მდივნის
№ 19 საერთო №

№ 38 პარასკევი, 17 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 17 თებერვალი 1922 წ. № 38

დღეს, 17 თებერვალს საღამოს 6 საათზე

საქართველოს რევკომის შენობაში შესდგება

## ქალაქის მე-2 პარტ-კონფერენციის სხდომა

ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.
თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

---

დღეს, პარასკევს, 17 თებერვალს

დღის 3 საათზე თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება

## თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა

კომიტეტის წევრების დასწრება სავალდებულოა.
თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

---

ორშაბათს, 20 ამა თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის შენობაში (კირკის ქუჩა) შესდგება

## თბილისის ქალაქის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების პლენუმის კრება

დღის წეს-რიგი:

1. საფინანსო საკითხი.
2. მოხსენება ქალაქში მომხდარ უკანასკნელ ამბების შესახებ.
3. თბილისის ქალაქის სახ. განათლების განყოფილების მოხსენება.
4. დელეგატების არჩევა სრულიად საქართველოს ყრილობისათვის.

საბჭოს ყველა წევრის დასწრება დელეგატების არჩევის გამო სავალდებულოა.

(3—1) პრეზიდიუმი

---

შაბათს, 18 თებერვალს საღამოს 6 საათზე, თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში შესდგება

## თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი გამოქვეყნდება სხდომაზე.
აღმასკომის ყველა წევრების გამოცხადება სავალდებულოა.
პრეზიდიუმი.

## გადასახადი დამშეულთა სასარგებლოთ

ჩვენი ქვეყნის დამშეულთა დახმარების საკითხი მთელი სიმწვავითაა წამოჭრილი ჩვენ წინ და მოითხოვს განსაკუთრებულ და სასწრაფო ზომებს სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან. წინასწარი ნაბიჯები უკვე გადადგმულია ამ მიმართულებით დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მიერ, რომელიც დაარსა ჩვენმა მთავრობამ.

ქვეყნის საერთო სასურსათო და ფინანსიური კრიზისი, რომლის პირობებში გვიხდება ბრძოლა დამშეულათ გამოცხადებულ რაიონების გაჭირვებასთან, ფრიად ართულებს და აძნელებს ამ საქმეს. ეს გარემოება მოითხოვს არა მარტო სახელმწიფო აპარატის ამოძრავებას გარკვეული მიზნით, არამედ აუცილებელია აგრედვე ფართო საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივის ამუშავება სახელმწიფოს დასახმარებლათ. ცხადია აგრედვე, რომ ჩვენ ვერ შემოვხაზავთ დახმარების წყაროებს მარტო კერძო და საზოგადოებრივი ქველმოქმედებით და იმ ფონდით, რომლის გადადებას მოახერხებს ამ საქმისთვის მთავრობა თავის ისედაც მწირე რესურსებიდან. ყოველისფერი ეს, რასაკვირველია, საჭიროა, ამ მხრივ მაქსიმალური შესაძლებლობა უნდა ამოვსწუროთ, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს არ იქნება საკმაო. საჭიროა განსაკუთრებული ზომების მიღება კიდევ სახელმწიფოებრივი წესით. ჩვენ უეჭველათ დაგვჭირდება მივმართოთ იმავე საშუალებას, რომელსაც ხმარობს შიმშილთან საბრძოლველათ რუსეთის საბჭოთა მთავრობა.

ამ მხრით საყურადღეობოა ის დადგენილება, რომელიც გამოიტანა სრულიად რუსეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ და რომელიც იბეჭდება დღეს ჩვენს გაზეთში.

ამ დადგენილების თანახმათ, შემოღებულია შიმშილობასთან და ეპიდემიურ ავადმყოფობასთან საბრძოლველათ, აგრედვე სახელმწიფოს ხარჯზე დარჩენილ ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, ზოგად—სამოქალაქო გადასახადი ყველა შრომის უნარის მქონე მამაკაცებზე 17-დან 60 წლამდე და დედაკაცებზე 17 დან 55 მდე. გადასახადებიდან განთავისუფლებული არიან წითელ არმიელები, მილიციონერები და დამშეული რაიონების მცხოვრებნი რაოდენობა ამ სპეციალური გადასახადის გამოანგარიშებულია ომის წინა დროინდელ ფულის ღირებულების მიხედვით და იძვრის 50 კაპეიკიდან 1 მ. და 50 კაპეიკის ფარგლებში. განსაზღვრულია აგრედვე დროც, რომლის განმავლობაში უნდა იქნეს აკრებილი ეს გადასახადი.

ჩვენ გვგონია, რომ სხვათა შორის ამ ზომასაც უნდა მივმართოთ ადგილობრივი საჭიროების დასაფარავათ, და დამშეულთა დასახმარებლათ. არა ჩვეულებრივ და მძიმე მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენ გვიხდება ბრძოლა შიმშილთან, რომელიც მომავალ თვეებში ცხადია უფრო გაფართოვდება და გამწვავდება, საჭიროა მივმართოთ ასეთ განსაკუთრებულ საშუალებას. ამ გზით თითო მოქალაქემ თავისათ უნდა მიიჩნიოს დამშეულთა გაჭირვება და მთავრობასთან ერთათ, ერთი ძალით და ღონით, შეუდგეს მასთან ბრძოლას.

ჩვენ უკვე მივაქციეთ გაკვრით ჩვენ გაზეთში მკითხველის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ პარალელურათ ამ საქმისათვის მუშაობასთან სახელმწიფოს აწევს არა ადვილი მოვალეობა: გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარება, რომელიც შეადგენს მომენტის გადაუდებელ და დიდი მნიშვნელობის საზრუნავ საგანს. მასში ისევეა დაინტერესებული მთელი ჩვენი ქვეყანა, როგორც ის არის დაინტერესებული, შიმშილთან ბრძოლაში. თუ არის რომელიმე საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე გასაკეთებელი ჩვენში, უმთავრესი და ურთულესი დღევანდელი მომენტისთვის არის სწორეთ დამშეულთა სიკვდილის კლანჭებიდან ხსნა, გარდა ამისა მათი სათესლე მასალით მომარაგება და საზოგადოთ ყველგან, მთელ საქართველოში, ამ თესვის კამპანიის ენერგიულათ ჩატარება, რათა მომავალი სამეურნეო წელი, რამდენადაც ეს ადამიანისაგან დამოკიდებული იქნება, ხელსაყრელი იყოს და მოსავლიანი.

მომენტის ამ უმთავრეს ორმაგ ამოცანას უფრო წარმატებით გადავჭრით, თუ მთავრობას ამაში აქტიურათ დაეხმარება მთელი ხალხი, თუ საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივა ენერგიულათ თავს გამოიჩენს.

ნ. კრედო.

## ისევ შრომის და ტვირთზიდვის გადასახადის შესახებ

რამოდენიმე დღის წინად გამოქვეყნებული დეკრეტი შრომის გადასახადის შესახებ უნდა ჩაითვალოს ერთ დიდ მნიშვნელოვან ნაბიჯათ. მისი სწორად და მთლიანად გატარება, გამოყენება იმ მასიურ მუშა-ძალისა, და ტვირთ საზიდ საშუალებათა, რომელსაც იძლევა შრომის გადასახადი, დიდად ხელს შეუწყობს დანგრეულ მეურნეობის აღდგენას, გადასახადი 6 დღე ძლიერ მცირეა, მაგრამ საერთოდ ის იძლევა ბევრს. ამის მაჩვენებელია შემდეგი ციფრები; თანახმად 1917 წლის მცხოვრებთა აღწერისა, საქართველოში შრომის უნარიან მამაკაცების (18-50 წ.) რიცხვი შეადგენს დაახლოებით 450000, ტვირთზიდვის საშუალება კი ცხენები, ხარები) 250000 ს (იანგარიშება წყვილად). ეს რიცხვი რომ გამრავლდეს გადასახდელ 6 დღეზე, მივიღებთ 2700000 მუშა დღეებს და 1500000 ტვირთ საზიდ დღეებს წელიწადში, თუ ვიანგარიშებთ ერთ მუშის ხელფასს დღეში 80 კაპ. და ურმის 1 მ. 50 კაპ. (ძველი კურსით) მივიღებთ დაახლოვებით 4500000 მან. რაც შეადგენს ფრიად მნიშვნელოვან თანხას. რასაკვირველია, ეს ანგარიში დაახლოვებითაა, მაგრამ შეცდომა მასში არ იქნება დიდი.

გადასახადის ცხოვრებაში გატარება უკვე დაწყებულია. პირველ პერიოდში, თებერვალსა და მარტის განმავლობაში, უნდა გადახდილი იქნეს 2 დღე 6 დღიდან. სამეურნეო ორგანოების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა თანახმად, პირველ პერიოდში უნდა შესრულდეს სამუშაონი, რომლისათვისაც საჭიროა 265200 მუშა დღე და 89037 ტვირთ ზიდვის დღეები. დანარჩენი გამოუყენებელი შრომის გადასახადი შეიძლება სხვა გადასახადით შეიცვალოს (ფულით სურსათით და სხ.), რაც მოგვცემს საკმაო თანხას.

ზემო აღნიშნულის ჩატარებისათვის და საერთოდ, შრომის გადასახადის მთლიანად შესრულებისათვის, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მას. საჭიროა ამ საკითხს გაეცნონ ყველა ამხანაგები. უმეტესობისათვის ის ბუნდოვანია. საჭიროა აგიტაცია როგორც სიტყვით, ისე პრესაში და ამ აგიტაციის სოფლად გადატანა. ამ დეკრეტს დიდი შეღავათი შეაქვს სოფელში, სპობს განსაზღვრულ, ბეგარებით გამოწვეულ უკმაყოფილებას, და ეს ხელს შეუწყობს ქალაქის და სოფლის მუშის კავშირის გამტკიცებას.

ამისათვის საჭიროა, რომ პარტიის ცენტრალურმა ორგანოებმა ეს საკითხი დღიურ წესრიგში დააყენოს, გამოიმუშაონ საგიტაციო თეზისები მის შესახებ და ამ გზით ხელი შეუწყონ იმ ორგანოებს, რომლებიც ამ საქმეზე მუშაობენ პრაქტიკულად.

ს. გოდაბრელიძე.

## წითელ რესპუბლიკებში

### საქართველო

### რეზოლიუცია

**თბილისის მაზრის გლეხთა, წითელ-არმიელთა და მუშების დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობის**

თბილისის მაზრის გლეხთა, წითელარმიელთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს პირველ ყრილობაზე 6 ამა თებერვალს ამხ. თ. კალანდაძემ გააკეთა მოხსენება თემაზე „საერთაშორისო მდგომარეობა და მოღალატური მუშაობა კაპიტალისტურ ქვეყნების მენშევიკებისა“. ამ მოხსენების შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ამხ. თ. კალანდაძის მოხსენება — „საერთაშორისო მდგომარეობა და კაპიტალისტურ ქვეყნების მენშევიკების მოღალატური მუშაობაზე“, თბილისის მაზრის გლეხთა, წითელ არმიელთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობა სავსებით იწონებს მოხსენებაში გამოთქმულ დებულებებს, იზიარებს მომხსენებლის საზოგადო დასკვნებს და აცხადებს: ეცნობოს ჩვენს ძმურ საბჭოთა რესპუბლიკებს და აგრეთვე ჩვენდამი მტრულათ განწყობილ ქვეყნებს, რომ მშრომელი ხალხის დიდის უმეტესობით არჩეული, გამომთქმელი ამ უკანასკნელის ნებისყოფისა—ჩვენი საბჭო—სისხლით და ხორცით არის შეუღლებული საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან და მის აღმზრდელ საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან და არაფერი საერთო არა აქვს საქართველოს გამქცეულ მენშევიკებთან, რომლებიც სამარცხვინოთ დაძრწიან კაპიტალისტურ ქვეყნებში და იქ ნაირ ნაირ ჭორებს ავრცელებენ მასზე, ვითომ საქართველოს მშრომელ ხალხს არ სურდეს საბჭოთა წესწყობილება თბილისის მაზრის გლეხთა, წითელარმიელთა და მუშათა დეპუტატების საბჭო, რომლის არჩევანში გაცილებით მეტმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა, ვიდრე მენშევიკურ და დამფუძნებელ კრების არჩევანში, სამარცხვინო ბოძზე აკრავს მენშევიკებს, რომლებიც ევროპაში გაიქცნენ და პროვოკაციას ავრცელებენ“.

### რუსეთი

**კერძო კრედიტის ორგანიზაცია.**

**მოსკოვი, 7 თებერვალი.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს ჰქონდა თათბირი კერძო კრედიტის ორგანიზაციის შესახებ მრეწველობის მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით. „იზვესტიას“ ცნობით თათბირმა აღნიშნა; რომ სამრეწველო წარმოებები თხოულობენ ამ ჟამად ისეთ თანხებს, რომლების მიცემაც სახელმწიფო ბანკს, თავის მოქმედების სფეროს შეზღუდვის გამო, არ შეუძლია. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სახელმწიფო ბანკის განყოფილებების რიცხვი უმნიშვნელოა და რომ ის ასრულებს მხოლოდ თავის უშუალო სპეციალურ ამოცანებს: აწესრიგებს საბჭოთა რუსეთის საკრედიტო დამოკიდებულებას ამყარებს საკრედიტო კავშირს საზღვარგარეთ, და აწესრიგებს ფულის ტრიალს შინ, საკუთარ ქვეყანაში.

ყველა პირობები იწვევენ სახელმწიფო ბანკის განტვირთვას მასთან დაუკავშირებელ ფუნქციებისაგან. ეს განტვირთვა თავის მხრით ხელს უწყობს საკრედიტო ოპერაციების განვითარებას. მოხსენებებში აღნიშნული იყო, რომ კერძო კრედიტის ორგანიზაციის საუკეთესო ფორმაა საურთიერთო კრედიტის საზოგადოებების ინსტიტუტის აღდგენა. ეს ინსტიტუტი შესძლებს წვრილი მრეწველობის და ვაჭრობის საგრძნობლად მოწესრიგებას და რამოდენიმედ სპეკულიაციის ბრჭყალებიდან მათ განთავისუფლებას. პრეზიდიუმი დაეთანხმა ძირითად დებულებას საურთიერთო კრედიტების საზოგადოებების აღდგენის შესახებ, რომლებიც თავის სტრუქტურის სიმარტივის გამო არ მოითხოვს დიდ ხარჯებს.

— „იზვესტია“ იტყობინება: ცენტრკავშირის გამგეობამ დაადგინა გამოყოფილ იქნას ცენტრო კავშირის საბანკო ქვე განყოფილება დამოუკიდებელ განყოფილებად და დაევალოს მას მუშაობა მომხმარებელ კოოპერატივების მთლიან ბანკის გახსნისათვის. ამ საქმის განსახორციელებლად მოწყობილია განსაკუთრებული კოოპერატიული ჯგუფი.

**მოსკოვის მცხოვრებლების რიცხვის შესახებ.**

**მოსკოვი 7 თებერვალი.** მოსკოვის საბჭოს სტატისტიკური ბიუროს ცნობების თანახმად დეკემბრის განმავლობაში მოსკოვში აღნიშნულია: 2569 დაბადება, 3262 სიკვდილი, 1102 ქორწინება და 126 გაყრა.

## ბრძოლა შიმშილთან

**გადასახადი დამშეულთა სასარგებლოთ.**

**მოსკოვი. 15 თებერვალი, (რადიო).** სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინეს დამშეულთა დასახმარებლათ და მიარულ სატკივრების წინააღმდეგ საბრძოლველათ და აგრეთვე სახელმწიფო ხარჯზე მყოფ ბავშვების ცხოვრების გასაუმჯობესებლათ, დაწესდეს 1922 წლისათვის რ. ს, ფ. ს. რ. და საბჭოთა ფედერაციაში შესულ რესპუბლიკების ყველა ადგილებში საზოგადო სამოქალაქო გადასახადი შემდეგ საფუძვლებით: 1) საზოგადო სამოქალაქო გადასახადი შევა რ. ს. ფ. რ. ს. მთელ შრომის უნარიან მოსახლეობას, სახელდობრ: მამაკაცებს ხნოვანებით 17 წლამდე 60 წლამდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით, და ქალებს ხნოვანებით 17 წლიდან 55 წლამდე, ამ უკანასკნელის ჩათვლით 2) ამ გადასახადისაგან თავისუფლდებიან წითელარმიელები და მილიციონერები, ნამდვილ სამსახურში მყოფნი, სახელმწიფო სასწავლებლების მოწაფეები, ის პირნი რომელნიც სარგებლობენ სოციალურ უზრუნველყოფით, დედაკაცები, რომელთაც შესანახი ჰყავთ ერთი ან მეტი ბავშვი ხნოვანებით 14 წლამდე ან სხვა არა შრომის უნარიანი წევრნი ოჯახისა, თუ ეს დედაკაცები თავიანთ მეურნეობას აწარმოებენ სხვის დაუხმარებლათ, დამოუკიდებლათ. 3) ადგილებში, რომლებიც 1921—1922 სასოფლო სამეურნეო წლის ალიარებულნი არიან უმოსავლოთ და რომლებსაც ეხმარება დამშეულთა დახმარების ცენტრალური კომისია, გადასახადისაგან თავისუფლდებიან ყველა სოფლის მეურნეობის მიმდევარი მცხოვრებნი იმ სოფლის ადგილებისა, რომლებიც 1921 წელს განთავისუფლებულნი არიან პურისა და ფურაჟის სასურსათო გადასახადისგან. 4) სახელმწიფო საზოგადო სამოქალაქო გადასახადის ზომა წესდება მუშებისა და მოსამსახურეებისთვის სრ. რუს. ც. ა. კ. ს. მიერ დამტკიცებულ განაკვეთის მე 9 ხარისხამდე ომის წინა დროის ოქროს ანგარიშის მიხედვით 50 კ., ხოლო დანარჩენ მუშებისა და მოსამსახურეებისთვის, რომლებიც ჯამაგირს მე 9 ხარისხზე მეტს იღებენ და იმ გლეხებისთვის, რომლებიც პირადათ დაქირავებულ შრომის მოუხმარებლათ აწარმოებენ სამიწათ მომქმედო მეურნეობას—1 მანეთი თითო სულზე; ხოლო ყველა დანარჩენ მოქალაქისთვის—1 მ. 50 კ. გადასახადს იღებენ საანგარიშო ნიშნებით ფინანსთა სახალხო კომისარიატის იმ კურსის მიხედვით, რომელიც იქნება გადასახადის გადახდის დღეს. ეს გადასახადი უნდა გადახდილ იქნას ყველგან არა უგვიანეს 1922 წ. 31 მაისისა. ვინც გადასახადს აღნიშნულ ვადამდე არ გადიხდის, მას დაადებენ ჯარიმას გადასახადის ზომის 100 პროცენტს ყოველ სრულ ან არა სრულ გადაცილებულ თვისთვის.

## გენუას კონფერენციისათვის

**რუს გლეხების დამოკიდებულება გენუისადმი.**

**მოსკოვი,** „იზვესტია“ გადმოგვცემს უპარტიო გლეხ ჩეკუნოვის შთაბეჭდილებას, რომელიც მან მიიღო სოფლებში მოგზაურობის დროს გლეხებთან გენუას კონფერენციის შესახებ ლაპარაკიდან. მშრომელი გლეხობა, ჩეკუნოვის სიტყვებით დიდ მნიშვნელობას აძლევს მომავალ კონფერენციას, მაგრამ უკვირს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მოთხოვნილება რაღაც ვალების შესახებ. გლეხები კითხულობენ: ნუ თუ კიდევ, განადგურებულმა და ღონე მიხდილმა გლეხობამ უნდა გადაიხადოს რაღაც ვალები. იმპერიალისტურ ომიდან უდიდესი სარგებლობა მუშებსა და გლეხებს ხომ არ მიუღიათ, არამედ მიიღო მსოფლიო ბურჟუაზიამ. ამიტომ გლეხთა მასსებს სწამთ, რომ რუსეთის დელეგატები გენუას კონფერენციაზე მტკიცედ და გადაწყვეტით განაცხადებენ, რომ მუშებს და გლეხებს არ აქვთ არავითარი განზრახვა გადაუხადონ მათ ვალები და პროცენტები, რადგანაც მათ საკმაო გადასახადი გადაიხადეს თავიანთი სისხლით და სიცოცხლით. ვინ დასთვლის იმ ტანჯვას, იმ უბედურებას და ცრემლებს, რომელიც განიცადეს და დაღვარეს ამ 6 წლის განმავლობაში უბედურმა რუსის დედებმა, ცოლებმა და ბავშვებმა რუსის მამებისა და შვილებზე. ნუ თუ საკმარისი არაა იმპერიალიზმისათვის ის ხარკი, რომელსაც აძლევდა მას რუსეთის მილიონი დაღუპული ხალხი.

**ვერსალის ხელშეკრულება და გენუა.**

**პეტროგრადი, 8 თებ. (დეპეშა).** საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს წარუდგინოს რუსეთის დელეგაციას გენუაში მოთხოვნილებანი ვერსალის ხელშეკრულების ალიარების შესახებ.

**თეთრგვარდიელები და გენუა**

**მოსკოვი, 12 თებერვალი (რადიო).** თეთრგვარდიელთა ემიგრაცია დიდათ აღშფოთებულია იმის გამო, რომ საბჭოთა რუსეთი მიწვეულია გენუაში და რუსეთიდან უკვე არჩეულია ოფიციალური დელეგაცია. თეთრგვარდიელები სწერენ: საბჭოთა რუსეთის ოფიციალური დელეგაცია გენუაში გაართულებს ევროპის სახელმწიფოთა საქმეებს ბურცევის „ობშჩეე დელო“ სწერს: თუ წინააღმდეგ სალი აზროვნებისა; პატიოსნებისა, სინიდისისა და თავიანთ ღირსებისა, ევროპის სახელმწიფონი მზად არიან იკისრონ მძიმე პასუხისმგებლობა მათი გენუის კონფერენციაზე მოწვევისა, მაშინ მათ წინასწარ უნდა გაითვალისწინონ დიდ გართულებათა შესაძლებლობა და უნდა იკისრონ მთელ ამ გართულებათა სრული პასუხისმგებლობა. შესაძლებელია გენუის კონფერენციას ისეთი შედეგები მოყვეს, რომელიც ევროპის სახელმწიფოებს არც კი შეუძლიათ წარმოიდგინონ.

**ამერიკა და გენუა.**

**რომი, 14 თებერვალი** (იტალიის დეპეშათა სააგენტოს რადიო). ამერიკის გაზეთები იუწყებიან, რომ ამერიკამ საბოლოოდ გადასწყვიტა ოფიციალურად არ მიიღოს მონაწილეობა გენუას კონფერენციაში. პრეზიდენტი გარდინგი გზავნის გენუაში თავის მხრით კონფერენციაზე დასასწრებლად გარვეის, გერიკს და ჩაილდს. ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენლის არ ყოფნას ასაბუთებენ ძლიერ უმნიშვნელო დროს გავლით ვაშინგტონისა და გენუის კონფერენციის შორის.

**ბორდო, 14 თებერვალი (რადიო).** „დეილი ქრონიკლი“ ბეჭდავს თავის ვაშინგტონელ წარმომადგენლის წერილს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი მომხრეა გენუის კონფერენციის გადადებისა. გარდინგსა და ამერიკის მთელ მთავრობას სურს, რომ მოხდეს ჯერ ვაშინგტონის კონფერენციაზე დადებულ ყველა ხელშეკრულებათა რატიფიკაცია, სანამ ამერიკა იკისრებდეს ახალ მოვალეობას ახალ საერთაშორისო კონფერენციაზე. გამოთქმულია აზრი, რომ ამერიკის მონაწილეობა უფრო მოსალოდნელია, თუ კონფერენცია გადაიდება და გადაწყდება მოწვეულ იქნას მოკავშირეთა წინასწარი თათბირი, თანახმად პუანკარეს წინადადებისა.

**კონფერენციისათვის სამზადისი მუშაობა**

**რომი, 14 თებერვ. (რადიო).** საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო, თანახმად პუანკარეს განკარგულებისა, შეუდგა ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელთაგან ორი კომისიის შედგენას გენუის კონფერენციის პროგრამის დაწვრილებით გამოსამუშავებლად.

**ბორდო 14 თებერვალი. (რადიო)** „ტანი“ იუწყება: საფრანგეთის მთავრობა ამზადებს პასუხს ბრიტანიის წინადადებაზე ექსპერტების თათბირის მოწყობის შესახებ, რომელიც უნდა მოხდეს გენუას კონფერენციის წინ.

ბრიტანიის წინადადება გადასცეს საფრანგეთს კვირას საფრანგეთის პასუხს გადასცემს ინგლისის მთავრობას ლონდონში მყოფი საფრანგეთის ელჩი. საფრანგეთის მთავრობა პრინციპიალურად არაა წინააღმდეგი, ექსპერტების წინასწარ თათბირის მოწვევისა, რომელმაც უნდა განიხილოს ეკონომიური საკითხები. პოლიტიკურ ხასიათის საკითხები უნდა განიხილონ მთავრობების წარმომადგენლებმა.

**ლოიდ ჯორჯის სიტყვა.**

**მოსკოვი, 15 თებერვალი (რადიო).** პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში ლოიდ ჯორჯმა მთავრობის სახელით იმედი გამოსთქვა, რომ რუსეთის დამშეულთა დახმარება გაგრძელდება ლოიდ ჯორჯის აზრით ამ მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალია რუსეთის მჭიდრო დაახლოვება დასავლეთ ევროპასთან. მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება კანაში დაწესებულ პირობებით. რუსეთის მიერ მოწვევის მიღება ნიშნავს მისგან კანის პირობების მიღებას.

**კონფერენციის გადადებისათვის.**

**ლონდონიდან 11** თებერვლის თარიღით იტყობინებიან: ბრიტანეთის მთავრობა მზადაა გადასდოს გენუას კონფერენცია მხოლოდ იტალიის ახალი კაბინეთის შედგენამდი.

**საფრანგეთის ნოტა.**

**ლონდონი, 11 თებერვალი** (რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიო). გამოქვეყნებულია საფრანგეთის ნოტა გენუის კონფერენციის შესახებ. ნოტაში ნათქვამია: საბჭოთა მთავრობა თავის ოფიციალურ პასუხში არ იხსენიებს კანის პირობებს. საფრანგეთს არ შეეძლო გაეგზავნა თავის დელეგაცია გენუაში, თუ საბჭოთა მთავრობა არ მიიღებდა მთლიანად კანის პირობებს. საჭიროა მოკავშირე სახელმწიფოების სრული შეთანხმება გენუას კონფერენციის პროგრამის შესახებ. დაუშვებელია, რომ გენუამ დაიკავოს ხალხთა ლიგის ადგილი იმ მისიის შესასრულებლათ, რომლებიც დაკისრებული აქვს მას საზავო ხელშეკრულებებით. ჩაურევლობის პრინციპი საჭიროებს ზოგიერთ შენიშვნებს. იქ, სადაც არ არსებობს საკუთრების უფლება. უცხოელების ინტერები არ უნდა დაექვემდებაროს ადგილობრივ იურიდიულ ნორმებს, არამედ მათი დაცვა უნდა გადაეცეს თითონ იურისდიკციას. რაც შეეხება ზარალს— საჭიროა ვიცოდეთ როგორ შეხვდებიან რუსეთის პრეტენზიებს, რომლებსაც ის წარუდგენს გენუას. ვალდებულების პრინციპმა მეზობლებზე თავდასხმის უარყოფის შესახებ არ შეუძლია მოკავშირეებს წაართვას უფლებები, რომლებიც მოგვცა ვერსალის ხელშეკრულებამ იმის შესახებ, რომ მიმართონ იძულებით ზომებს გერმანიის მიმართ თუ არ აასრულებს ზარალის ანაზღაურების ვალდებულებებს. ცალკე სახელმწიფოებს შორის მომხდარ კონფლიქტების მოწესრიგებას ითვალისწინებს ხალხთა ლიგის სტატუტი, ამიტომ ამ მხრივ ახალი დებულებების შეტანა არ იქნება საჭირო. ფინანსიური პროგრამა, თუ ის გამოვიყენეთ რუსეთში, გულისხმობს იქ სრულიად ახალ ეკონომიურ წესების დამყარებას. საბჭოთა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ვაჭრობისათვის საჭირო პირობები, შემოიღოს კანონმდებლობითი და სამოსამართლო გარანტიები უცხოელების ქონებრივი და სხვა უფლებების დასაცავად. ყველაფერი ეს უნდა იქნეს მოფიქრებული და მომზადებული; ამისათვის კი ძალიან ცოტა დრო დარჩა. საფრანგეთის მთავრობის აზრით, უნდა გაიაროს სამმა თვემ მაინც, სანამ კონფერენცია შეუდგებოდეს მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება გაუგებრობა და უწესრიგობა.

— ბორდოს ცნობებით, იტალიის კრიზისი ვერ იქონიებს გავლენას გენუას კონფერენციის სამზადისზე. კონფერენციის გენერალური სეკრეტარიატი უკვე დანიშნულია იტალიის მეფის ბრძანებით. საზღვარგარეთელი დელეგაციები უზრუნველყოფილი არიან პირდაპირი მავთულით, ტელეგრაფით და ტელეფონით თავიანთ სატახტო ქალაქებთან კავშირის დასაჭერად.

### ვირტის მდგომარეობა.

**ნაუენი.** 14 თებ.რადიო. კანცლერი ვირტი მოითხოვს მთავრობისადმი ნდობის გამოცხადებას, რკინის გზელთა უკანასკნელ გაფიცვის დროს მთავრობის პოლიტიკის გამო. ვირტი აცხადებს, რომ მას არ აკმაყოფილებს რეიხსტაგის მიერ მთავრობის უნდობლობის შესახებ 5 სხვა და სხვა წინადადებაზე უარის თქმა, რომელიც შეტანილი იყო უკანასკნელ დღეებში, სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფების მიერ განზრახულია, რომ ნდობის გამოცხადების საკითხი დაისმის ოთხშაბათის სხდომაზე. გაზეთებს შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ვირტს გამოეცხადება ნდობა, მაგრამ ძლიერ უმნიშვნელო უმრავლესობისაგან. თვით ეს უმრავლესობა საეჭვოა, რადგანაც იგი იმის შედეგი იქნება, რომ ზოგიერთი დამოუკიდებელი სოციალისტები და სახალხო პარტიის წევრები თავს შეიკავებენ ხმის მიცემიდან საგარეო პოლიტიკის მოსაზრებათა გამო.

### გერმანიის რკინის გზელთა ბრძოლა.

**მოსკოვი.** 14 თებ. ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში რკინის გზის მუშები მოითხოვდნენ სამუშაო ხელფასის გადიდებას დეკემბერში ბერლინის და ვესტფალიის მუშები გაიფიცნენ, რომლებიც მოითხოვდნენ ხელფასის საათში 4,3 მარკით გადიდებას. რამოდენიმე კვირის ბრძოლის შემდეგ მათ განიცადეს დამარცხება, ვინაიდგან მთავრობამ მოუმატა 25-დან 75-ფენინგამდი საათში, იმ დროს როდესაც პურის სიძვირემ დეკემბერში მიაღწია 70 პროც. მთავრობა დაპირდა მოეწესრიგებია ყველა ფინანსიური საკითხები იანვარში. ამ დროს განმავლობაში მთავრობას ხარჯების შემცირების მიზნით დაითხოვა რკინის გზის სამსახურიდგან 20,000 მუშაზე მეტი, ამავე დროს კრებავდენ ახალ მუშებს საიმედო ელემენტებისაგან. დეკემბრის გაფიცვებში დიდი როლი ითამაშეს ყვითელმა პროფესიონალისტებმა და სოციალ დემოკრატებმა, რომლებიც უდგენ სათავეში კავშირებს. გამბურგის „ფოლკს ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ მაშინ შესაძლებელი იყო დავრწმუნებულიყავით გერმანიის პროფკავშირების საყოველთაო გაუგებრობის ცდის სრულ შეუძლებლობაში. რკინის გზელებმა შეაფასეს ყვითლების ბელადების ყოფაქცევა და რკინის გზელთა 7 იანვრის მრავალ რიცხოვან კრებაზე კავშირის წარმომადგენელი არ ალაპარაკეს. მაშინ იქნა გამოტანილი რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებდა ყველას გადამწყვეტ ბრძოლისაკენ, არა მთავრობასთან მოლაპარაკების გზით, რომლისაგანაც არაფერი საიმედო იყო მოსალოდნელი, არამედ საყოველთაო გაფიცვით ამ გვარადვე იყო შედგენილი საქსონიის გაფიცვის კომიტეტის მოწოდება, რომელიც მთავრობის მიერ წარმოდგენილ პირობებს სთვლის მუშების დაცინვად. გერმანიის რკინის გზის მუშების გაფიცვა არ არის მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლის ეპიზოდი. მაში წვდება ერთი მეორეს ყველა პოლიტიკურ პარტიის ინტერესები. შეიდემანელები, სტინესის მოკავშირენი ენერგიულად ამხნევებენ ბურჟუაზიას სიფრთხილისა, წარმოების გაძლიერებასა და გერმანიაში კაპიტალიზმის განმტკიცების საჭიროების შესახებ. ხელმძღვანელი პროფესიონალური ორგანოები გაფიცვებს პასიურად მოეკიდნენ და სცდილობენ შეენელებიათ ბრძოლის სიმკაცრე. სოციალისტურმა პრესამ გაუწია საჭირო დახმარება, მაგრამ მუშები, წინააღმდეგ თავიანთი ბელადებისა, მზად არიან შემდეგი ბრძოლისათვის და ამჭიდროებენ თავიანთ რიგებს.

### გერმანიი მთავრობის პროვაკაცია.

**ვარშავა.** რკინისგზელთა კავშირის წარმომადგენლებმა „ლოკალ აინცაიგერის“ რედაქტორთან საუბარის დროს განაცხადეს, რომ გერმანიის მუშების დღევანდელი მოძრაობა გამოწვეულია მხოლოდ ხელფასის საკითხით და ყველაზე უწინ იგი არის თავდაცვა გერმანიის მთავრობის იმ აშკარა მისწრაფებისაკენ, ჩაეყენებია მოსამსახურენი განსაკუთრებით კი დაბალნი, მძიმე პირობებში, რასაც მას უკარნახებდენ მრეწველი წრეები. დაბალი მოსამსახურეები მოითხოვენ, რომ მთავრობამ რაც შეიძლება მალე გამოარკვიოს თავის განზრახვები. პროვოკაციული მთავრობა ისე აჩვენებს, რომ მას სურს გამოიწვიოს ბრძოლა.

„როტე ფანე“ უკეთებს რა კომენტარიებს მთავრობის პოზიციას მუშებთან მომხდარ კონფლიქტში, სამარცხვინო დაღს ასვამს მთავრობის ყოფაქცევას განზრახვის გამო, წაერთმია მუშებისათვის კოალიციის უფლება. გაზეთი ხედავს, რომ მთავრობა ისარგებლებს გაფიცვით მთავრობის რკინის გზების კერძო კაპიტალზე საექსპლოატაციოდ გადასაცემად. მუშათა მასებმა უნდა შეიგნონ, ათავებს გაზეთი, კოალიციის უფლების წართმევა წარმოადგენს „ძალების დასინჯვას“ იმ ახალ კურსის გასატარებლად, რომელსაც მოითხოვს სტინესი.

### ილიუზიები

**ბერლინი.** 14 თებერვალი. გაზეთ „ნოვი მირი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთი არ იზიარებს ილიუზიას ახალ ზავის შესახებ, რომელიც უნდა დაიწყოს გენუის კონფერენციიდან.

ეს კონფერენცია წარმოადგენს გამარჯვებულ სახელმწიფოთა ინტერესების და დამარცხებულ ეკონომიურად სუსტ ხალხთა ინტერესების საბრძოლველ ასპარეზს. საბჭოთა რუსეთმა იცის რა, რომ გენუაში არ იქნება გამონახული მხსნელი საშუალებანი დანგრეულ მეურნეობის აღსადგენად, არამედ გამარჯვებულები წამოაყენებენ ახალ ანგარიშებს, მას შემდეგ, რაც ვერსალის ანგარიში გამოდგა სრულიად ფანტასტიური. რუსეთის მიმართ გენუა ნაბიჯია წინ ვერსალთან შედარებით, ვინაიდგან ვერსალს სურდა მოეკლა რუსეთი, გენუაში კი მსოფლიოს მფლობელებს სურთ მასთან ლაპარაკი. მაგრამ 4 წლის მკაცრი ბრძოლის სკოლა ნებას არ აძლევს რუსეთს იქონიოს რაიმე ილიუზია. იგი ხედავს, რომ კაპიტალისტურ მსოფლიოს მისკენ გამოწვდილ ხელში უჭირავს თოკი, თუმცა კი აბრეშუმის. ამ თოკს წარმოადგენს კონსორციუმის იდეა.

გაზეთი შემდეგ წერს: კანის კონფერენციის ყველა დადგენილებანი, რომლებითაც ყველა ხალხს თავისუფლება ენიჭება ამოირჩიოს ის ფორმა ცხოვრებისა, რომელიც მას მოსწონს, წარმოადგენს კონსორციუმის იდეის განსახორციელებელ ფრაზებს. ეს კონსორციუმი უნდა იქნეს ჯერ ინგლისის და შემდეგ ინგლის-ამერიკის კაპიტალის კონსორციუმის იარაღად. შემდეგ გაზეთი ჩერდება გერმანია რუსეთის დამოკიდებულებაზე და სწერს: რუსეთის და გერმანიის განადგურების მიზეზი იყო იმის გაუგებრობა, თუ რამდენად ეს ორი ქვეყანა ეკონომიურად ერთი მეორეს ავსებდენ. ვინც ყურადღებით მისდევს მსოფლიო პოლიტიკის განვითარებას, მას არ შეუძლია განთავისუფლდეს იმ შთაბეჭდილებისაგან, რომ გერმანიის ბურჟუაზიულ პოლიტიკის არა შორს მხედველობა გაურკვეველ მდგომარეობაში აგდებს ორივე ქვეყნის ურთიერთ დამოკიდებულებას. და ბოლოს „ნოვი მირი“ აღნიშნავს: გენუას კონფერენციის წინა დღით ჩვენ ვდგევართ ახალ მსოფლიო შეჯგუფების წინაშე. თავის თავად ცხადია, რომ თუმცა ცოტა გამოცდილება მიიღო საბჭოთა დიპლომატიამ ძველ დიპლომატიურ სკოლასთან თამაშში, მაგრამ იგი მაინც არ არის ისეთი გულუბრყვილო, რომ ჩავარდეს ისეთ ქალის მდგომარეობაში, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საქმროები ყავდა, ბოლოს მაინც დარჩა გაუთხოვარი. საბჭოთა რუსეთს არ შეუძლია იცხოვროს შორეულ პერსპექტივებით და დაპირებებით, არამედ ანგარიში უნდა გაუწიოს მუშათა მასების მახლობელ ინტერესებს. დღევანდელ დღის საჭიროებისათვის რუსეთი არ დაივიწყებს მომავალ დღეს, იგი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მის წინაშე გახსნილია სხვადასხვა გზები, რომლებსაც მიყავთ მიზნისაკენ. რუსეთს შეუძლია აირჩიოს ესა თუ ის გზა.

### მე-13 კონფერენცია.

**ბერლინი,** 6 თებერვალი. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ გენუას კონფერენცია არის ანგარიშით მე 13 ვერსალის კონფერენციის შემდეგ. ჯერ კიდევ არას დროს დიპლომატებს ამდენი არ უმოგზაურიათ და ასე ხშირად არ უსაუზმიათ ერთმანეთთან, ეს ხშირად არ შეკრებილან ხოლმე მსოფლიოს გასაბედნიერებლად. მიუხედავად კონფერენციების ამ მრავალრიცხოვანებისა, მათი შედეგები ვერ არის კარგი. არ არი ცნობილი, შეიკრიბებიან ისინი ამ ჟამად მეცამეტეთ გენუაში თუ არა. მისტიურ ხანაში ბ ერი მისტიკად გადაიქცა: რიცხვი 13 მათ ბნელ წინაგრძნობას უძრავს, რომელიც შეიძლება გაიფანტოს მხოლოდ გენუას კონფერენციის გაშუქებით, რომ დავაფრთხოთ ის მოჩვენებები, რომლებიც კარგს არაფერს არ გვიქადიან. მაგრამ 9 მარტს, ამ სინათლის მოფენის შემდეგაც, ვერ დაიწყება ახალი ცხოვრება, რომელიც საზოგადოდ არ იწყება ერთ დღეს. მაგრამ ერთ დღეს შესაძლებელია შეიქმნას ნიადაგი დიდ მუშაობისათვის, ურომლისოდაც ევროპა ვერ მიაღწევს თავიანთ ტანჯვის დროებით შემცირებასაც კი.

### ინგლისის პოზიცია.

**პარიზი.** 16 თებერვალი, გაზეთ „ჟურნალის“ ლონდონელი კორესპონდენტი შემდეგ ნაირად ახასიათებს ინგლისის იმ პოზიციას, რომელიც შესაძლებელია დაიჭიროს მან რუსეთის მიმართ. კონფერენციის გახსნის შემდეგ, რუსეთის დელეგაციას უნდა მიეცეს შეკითხვა: ღებულობს თუ არა იგი კანის პირობებს. ინგლისის დიპლომატიური წრეები ამასთანავე გამოსთქვამენ რწმენას, რომ რუსეთი არ შექმნის დაბრკოლებებს ამ პირობათა პრინციპიალურად მიღებისათვის, თუ ცნობილი პირობები მიღებულ იქნებიან სხვა სახელმწიფოთაგანაც. რუსეთი დასთანხმდება იცნოს ვალები იმ შემთხვევაში, თუ ამას შედეგად იცნობს ანტანტა, საჭირო პრინციპად რუსეთის იმ ზარალთა ანაზღაურებას, რომელიც მიაყენა მას სამოქალაქო ომმა. ბრიტანიის წრეების აზრით ეს პირობები მიღებული იქნება, მით უმეტეს, რომ ამ საკითხს დეტალურად განიხილავს ექსპერტების კომისია. გაზეთის ლონდონელი კორესპონდენტი შემდეგ აღნიშნავს, რომ რუსეთის მეორე პირობა იქნება მისი იურიდიულად ცნობა. ამის შესახებ ინგლისში არსებობს ძლიერი მიმდინარეობა რუსეთის სრულიად აღიარების სასარგებლოდ, მაგრამ მეორე მხრით ბრიტანიის ვაჭართა წრეები მოითხოვენ, რომ საბჭოთა მთავრობამ აღიარებამდე გამოარკვიოს თავის დამოკიდებულება კაპიტალისტურ სისტემისადმი და სავალდებულოდ გაიხადოს რუსეთში კაპიტალისტების უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობა. ამას განსაკუთრებით მოითხოვს ის ჯგუფი, რომელსაც აქვს რუსეთში მსხვილი ინტერესები და სარგებლობენ მნიშვნელოვანი გავლენით.

### პოლონეთი და გენუა.

**ვარშავა.** 17 თებერვალი, კრაკოვის ახალი რეფორმა გვიჩვენებს, რომ პოლონეთისათვის გენუას კონფერენციას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. ამდენხანს თუ პოლონეთის ინტერესებს იცავდენ თვითონ პოლონეთი და მისი მეგობრები, გენუაში კი პოლონეთი გარ შემორტყმული იქნება არა მარტო მეგობრებით, არამედ პირის პირ დაუდგება თავის ბუნებრივ მოწინააღმდეგებს, ე. ი. რუსეთს და გერმანიას. აქ თავს უნდა მისცეს გარკვეული ანგარიში ამ ინტერესების ხასიათის შესახებ, რომლის გარშემოც ჯგუფდებიან ხალხები, ძალთა განწყოფილების შესახებ და გამოვიდეს სრულიად დამოუკიდებლად. პოლონეთის დაცვა დამოკიდებული იქნება პოლონეთის დელეგაციის უნარზე დააჯეროს არა მარტო თავის აპეკუნები და მეგობრები. საჭიროა სრულიად სხვა და სხვა კომბინაციების მოწყობა და ყველა იმ რთულ დამოკიდებულებებში „გარკვევა“, რომლებიც აუცილებლად აღმოცენდებიან კონფერენციაში მონაწილე ყველა 45 ხალხთა ინტერესების შეჯახების დროს.

### ახალი გარემოება.

**ბორდო,** 15 თებერვალი, (რადიო). მოულოდნელად გამოირკვა ორი ახალი გარემოება, რომლებიც დაკავშირებულია გენუას კონფერენციასთან: 1) საფრანგეთი მოითხოვს, რომ წინასწარი თათბირი შესდგებოდეს არა მარტო ანტანტის წარმომადგენლებისაგან, არამედ მცირე ანტანტისაც. ბენეში პარიზიდან მიემგზავრება ლონდონში, რომ მხარი დაუჭიროს ლოიდ ჯორჯის ამ მოთხოვნილებას. ჟურნალ „დედების“ აბსურდათ მიაჩნია რუსეთის და გერმანიის ეკონომიურ საკითხის განხილვა მის მეზობელთა დაუსწრებლად. 2) რომში მყოფმა ჩეხო სლოვაკიის წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა იტალიის მთავრობას გენუას კონფერენციის 3 თვით გადადების შესახებ.

### კონფერენციის აზრის დამახინჯება.

**ლონდონი,** 15 თებერვალი (რადიო). „ტაიმსი“ აცხადებს: გენუას კონფერენცია არაა გამარჯვებულების თათბირი, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არამედ—ევროპის ყველა ხალხების თათბირი. ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლები თავს იყრიან ამ კონფერენციაზე თანასწორი უფლებებით და მოვალეობებით საერთო საქმისათვის—ევროპის ეკონომიური ცხოვრების გასაჯანსაღებლად. „დეილი ქრონიკლის“ აზრით, საფრანგეთის მისწრაფება—მიაღწიოს შეთანხმებას გენუას კონფერენციამდი, ნიშნავს კონფერენციის აზრის და ხასიათის დამახინჯების ცდას.

### ექსპერტების ცნობები.

**ბორდო,** 15 თებერვალი (რადიო). საფრანგეთის მთავრობამ უპასუხა ინგლისის მთავრობას, რომ ის მზადაა მოიწვიოს გენუას კონფერენციის წინ წინასწარი საექსპერტო თათბირი. საფრანგეთის მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ ამ თათბირში მიწვეული იქნენ ჩეხო-სლოვაკიის, რუმინიის, სამხრეთ-სლავიის და პოლონეთის წარმომადგენლები.

### გენუას კონფერენციის გადადებისათვის

**პარიზი,** 15 თებერვალი (რადიო). პუანკარემ შეატყობინა ლოიდ ჯორჯს, რომ განსაზღვრავს რა ის გენუას კონფერენციის გადადებას 3 თვით; პუანკარე ამით მაქსიმალურ ვადას ღებულობს და არ აცხადებს პროტესტს კონფერენციის სასწრაფოდ მოწვევის წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ ექსპერტები ფიქრობენ დაასრულონ ყველა წინასწარი სამუშაო აპრილისათვის.

**ლონდონი,** 15 თებერვალი (რადიო). ინგლისის მთავრობა ფიქრობს, რომ წინასწარი მუშაობა შეიძლება გათავდეს ადრე. ლოიდ ჯორჯი წინადადებას იძლევა ექსპერტების თათბირი მოწვეულ იქნას ლონდონში 4 თებერვლისათვის.

**ბორდო,** 15 თებერვალი (რადიო). კომისია სეიდის თავმჯდომარეობით შეუდგა განხილვას ფინანსიურ-ეკონომიური საკითხებისას, რომლებიც შეტანილ არიან გენუას კონფერენციის პროგრამაში.

**რომი,** 15 თებერვალი (იტალიის დეპეშათა სააგენტოს რადიო). ლოიდ ჯორჯი აცხადებს, რომ გენუას კონფერენციის გადადების საკითხი აქამდი არაა გადაწყვეტილა.

**რომი,** 15 თებერვალი (იტალიის დეპეშათა სააგენტოს რადიო). რეიტერის სააგენტო ამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობა დასთანხმდა ექსპერტების წინასწარ თათბირის მოწვევაზე გენუას კონფერენციის პროგრამის დეტალიზაციის მიზნით. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ინგლისის მთავრობა არ თანხმდება რომ ექსპერტების წინასწარ თათბირზე მოწვეულ იქნას მცირე ანტანტის წარმომადგენლები.

**პარიზი,** 15 თებერვალი (რადიო). ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა: გენუას კონფერენციის გადადება დამოკიდებულია მხოლოდ იტალიაზე. შტანდარტი ამტკიცებს, რომ კონფერენცია არ შესდგება აპრილზე უფრო ადრე.

## გერმანიის ამბები

### ვირტის მთავრობის მდგომარეობა.

**ბორდო.** 15 თებერვალი. რადიო. ვირტის მთავრობის მდგომარეობა—მეტათ გამოურკვეველია. რეიხსტაგის ცენტრი ბეჯითათ მოითხოვს, რომ მთავრობას ნდობა გამოეცხადოს. განუწყვეტელი მოლაპარაკება სწარმოებს სოციალისტებსა და დამოუკიდებლებს შორის. მაინც ფიქრობენ, რომ თუმცა უმნიშვნელო უმეტესობით, მაგრამ ვირტს მაინც გამოუცხადებენ ნდობასაო, რის შემდეგ რეიხსტაგი შეუდგება ქვეყნის შინაგან მდგომარეობის და შინაგან პოლიტიკის განხილვას. ფიქრობენ, რომ ამ საკითხში შეერთდება რეიხსტაგის წევრთა უმეტესობა და ამ მხრივ ვირტს უთუოთ სავსებით მოუწონებენ მოქმედებას.

## საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად

### დადგენილება № 144.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა—საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტის დაარსების შესახებ.**

რადგან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ზოგიერთი მაზრებში მოუსავლობაა, რის გამოც მოსალოდნელია ამ მაზრების მოსახლეობის ნაწილობრივი დამშევა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოწოდებულ იქნეს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა საბჭოთა საქართველოში დამშეულთა ფართო დახმარებისათვის.

2. საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დახმარების საქმის წარსამართავად დ ხელმძღვანელობისათვის საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტთან მოეწყოს „საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტი“.

3. საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. ფ. მახარაძე, მის მოადგილედ—ამხ. სტურუა და კომიტეტის წევრებად: ა. ერქომაიშვილი, თ. ღლონტი, ი. ნაკაშიძე, ა. სვანიძე და გ. ქიქოძე.

4. დამშეულთა დამხმარე კომიტეტი თავის მუშაობაში ანგარიშვალდებულია საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის წინაშე, მოქმედებს მისივე კონტროლით და პერიოდულად საინფორმაციო მოხსენებებს წარუდგენს საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტს.

5. კომიტეტს უფლება აქვს საბჭოთა ყველა დაწესებულებასთან მოაწყოს საქართველოში დამშეულთა დამხმარე სპეციალური კომისია.

6. პრინციპიალური საკითხები, საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებანი და კომიტეტის მუშაობის პროცესში წარმოშობილი რამ გაუგებრობა საბჭოთა დაწესებულებებთან გარჩეულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ; ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი აღნიშნულ საკითხების გამო სავალდებულოა აღსრულებისათვის.

7. კომიტეტი მუშაობას ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეუდგეს.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკველია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 15.
თბილისი—სასახლე.

### საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტში.

საქართველოს დამშეულთა კომიტეტმა 15 თებერვლის სხდომაზე დაადგინა:

1. მოეწყოს ამ დღეებში მთელს რესპუბლიკაში სამდღეული, როცა იწარმოებს ყულაბებით მოგროვება; არჩეულ იქნა სამდღეულის მომწყობი კომისია.

კომიტეტმა დაადგინა, ყოველი ზომა იქნეს მიღებული, რათა დამშეულთა დახმარების საქმეში მიაღებინონ მონაწილეობა შეძლებულ მასსას.

## კაპიტალიზმის სამეფოებში

### საფრანგეთი

### კრიტიკული მდგომარეობა

**ლონდონი,** 1 თებერვალი. გაზეთ „ობსერვერ“-ი იხილავს რა საფრანგეთის მდგომარეობას და აღნიშნავს მომავალის პერსპექტივებს, სწერს: არ არის წინასწარმეტყველის ნიჭი საჭირო იმისათვის, რომ ითქვას, 1922 წელი ისტორიაში იქნება მესამე რესპუბლიკისათვის გაცილებით უფრო კრიტიკული, ვინემ იყო ომის წლები. ამ წელში იქნება ბევრი მოულოდნელი ცვლილებები. პოლიტიკურად—ეს წელი იქნება არეული და მოხდება ბევრი პოლიტიკური გადატრიალებანი. პოლიტიკურ სიძნელეთა ძირითად წყაროს წარმოადგენს დიდი ფინანსიური კრიზისი. ინგლისის გაზეთის აზრით, ცხოვრების გამოცდილება თანდათან აიძულებს საფრანგეთს შეაფასოს საქმის ნამდვილი მდგომარეობა. პალატა თავის ნაციონალისტურ ბლოკით კარნახობს თავის ნებისყოფას და ვინც არ უნდა იყოს მთავრობის სათავეში, იგი ვერ შესძლებს იბრძოლოს ისტორიის ბედისწერის წინააღმდეგ.

სენეტორი შორნი, სწერს შემდეგ გაზეთი, თავის მოხსენებაში საფრანგეთის მდგომარეობის შეხებ ამტკიცებს, რომ საფრანგეთმა მახლობელ 8 წლის განმავლობაში უნდა დახარჯოს არა ნაკლებ 100 მილიარდ მარკისა განადგურებულ ოლქების აღსადგენად, იმ დროს როდესაც ამ დროს განმავლობაში გერმანია იხდის არა უმეტეს 21 მილიარდ მარკისა. შორნი ხედავს, რომ საფრანგეთის ვალი 1930 წ. მიაღწევს 425 მილიარდამდი, რომლის ყოველწლიური პროცენტი იქნება 21 მილიარდი ფრანკი. ამის შედეგად საფრანგეთში არ იქნება არც ფინანსიური და არც სამხედრო უშიშროება.

### რუსეთი და ევროპა

**ნაუენი** 15 თებერვალი. (რადიო). რუსეთში უცხოელთა ინტერესების დაცვის საკითხის შესახებ საერთაშორისო კონფერენციამ ორშაბათს 13 თებერვალს დაასრულა თავის სამუშაო. კონფერენციამ გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებებისა, რომლებშიდაც პირველ რიგში აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის ცნობის აუცილებლობა და ამასთანავე საბჭოთა მთავრობის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების და ვალდებულებების ცნობა. ეს ორი პრინციპი ძირითადი მნიშვნელობისაა ევროპის გაჯანსაღებისა და კონფერენციის მიერ განზრახული ზომების გასატარებლად და აგრეთვე რუსეთში უცხო კაპიტალის მისაზიდავად კონფერენციამ აღნიშნა, რომ კანის პირობები და გარანტიები აკმაყოფილებს ყველა დაინტერესებულ პირებს და დაწესებულებებს, და რომ ამიტომ სწორედ კანის დადგენილებები უნდა დაედოს საფუძვლად რუსეთთან მოლაპარაკებას ურთიერთობის დამყარების შესახებ. ეს დადგენილებები უნდა იყვნენ დადასტურებული ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოების მიერ და ამის შემდეგ უნდა გატარდენ ცხოვრებაში.

საერთაშორისო კომისიამ აგრეთვე დაადგინა მოითხოვოს დამატებითი გარანტიები იმ ხელშეკრულებებისადმი, რომლებიც დადებულია რუსეთის მთავრობასთან და საერთოდ ამა თუ იმ ფინანსიურ ჯგუფებთან რუსეთში. დასასრულ კონფერენცია აღნიშნავს, რომ მთელი ევროპის ინტერესებისათვის საჭიროა რაც შეიძლება მეტად გაძლიერდეს რუსეთის დამშეულთა დახმარება, რადგანაც სანამ არ იქნება მოსპობილი შიმშილი, მანამ შეუძლებელი იქნება ახალი ეკონომიური ორგანიზმის აშენება მტკიცე საფუძვლებზე.

— ერთ ერთ თავის დადგენილებაში საერთაშორისო კონფერენცია წინადადებას იძლევა: ყველა უცხოელების სადაო საქმეები რუსეთში გადაცემულ იქნან განსაკუთრებულ შერეულ საერთაშორისო სასამართლოზე რუსეთის მონაწილეობით.

### გერმანია და ანტანტა

**ვარშავა.** 14 თებერვალი. „პარგუსი გამოიდა შემდეგი ბროშიურით“, „გზა სამეურნე ხსნისაკენ“, რომელშიდაც ამტკიცებს, რომ გერმანიას ადვილად შეუძლია გადაიხადოს მასზე დაკისრებული ანაზღაურების დიდი ჯამი, თუ: 1) იგი გაამტკიცებს თავის ვალიუტას, 2) მოახდენს გადასახადის რეფორმას 3) შექმნის კრედიტს წარმოების განსავითარებლად. და 4) ხელს მიყოფს რუსეთის მეურნეობის აღორძინებას.

ფინანსების მხრით, სწერს პარგუსი, გერმანიის მდგომარეობა არამც თუ ცუდია ანტანტისაზე, არამედ უკეთესიცაა. გამარჯვებულებმა დაგვადვეს ჩვენ ფულის უზარმაზარი ტვირთი მაგრამ ისინი თვითონ იდრიკებიან შეიარაღების სიმძიმის ქვეშ. ჩვენი გადასახადი განსაზღვრულია, შეიარაღებას აღარ აქვს საზღვარი. ამის გარდა გერმანელები ყოველ წლიურად აკეთებენ ნახევარ მილიონ ხალხის ეკონომიას, რომლებიც ყაზარმებში წასვლის მაგივრად, მიდიან, ფაბრიკებში და ადიდებენ ჩვენ ქონებას 2 მილიარდ მარკით მაინც წელიწადში. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთთან სამეურნეო დამოკიდებულების განახლება. პარფუსი დიდი პათოსით აღნიშნავს, რომ იქ აღმოსავლეთ ევროპაში გახსნილია გზა გერმანიის გაფართოებისა და გაძლიერებისათვის. პოლონეთის პრესას მოყავს რა პარვუსის ბროშიურიდან ეს ამონაწერები, აღნიშნავს, აქ ისევ მეორდება გერმანელების ძველი ლოზუნგი „დრანგ ნახ ოსტენ“. (აღმოსავლეთისაკენ მისწრაფება).

### ირლანდია

**ნაუენი,** 15 თებერვ. (რადიო). ბელფასტში განაგრძობენ ბრძოლებს. აღნუსხულია ბევრი მოკლული და დაჭრილი, მათ შორის რამდენიმე ბავშვი.

**ლონდონი,** 15 თებერვ. (რადიო). ჩერჩილმა გამოიდა რა თემთა პალატაში ირლანდიაში შექმნილ მდგომარეობის საკითხის შესახებ, განაცხადა რომ აუცილებელია რაც უნდა დაჯდეს წესიერება დაიცვას ირლანდიაში და წინადადება შეიტანა ბრიტანიის ჯარი გავაძლიეროთ ირლანდიაში.

**ნაუენი,** 15 თებ. (რადიო). რადიკალების ჯგუფი ირლანდიაში ამზადებს სახელმწიფო გადატრიალებას. ცნობებია მიღებული, რომ ულსტე-

ული ბიბლიოთეკა

# საქართველო

(მოზაიკური სურათი)

ბრინჯაო. კრამიტი. ვაზი და სურო
შავი ქვა. ნახშირი. კუპრი და ნავთი
მარხილი. ურემი. ცულდი და ურო.
ნავი და ბორანი. ტივი და კავთი.

მარნები. ქვევრები. ტიკი და ყანწი.
სირაჯი. კურტანი. ცხენი და საპალნე.
გოდორი. გიდელი. გვიმრა და ანწლი.
ქილობი. ნაბადი და ქეჩა საფალნე.

ჩოხა და ქულაჯა. ქალმანი თასმით.
ახალოხ-წინდები. გაშლილი შალვარი.
ზამთარი მაძღარი, მრავალი წასმით...
კეკლუცი მაისი. ზაფხული დამწვარი.

ფეტვი და ხორბალი, დიკა და შვრია.
სიმინდი. ლობიო. ღომი და ჭვავი.
ვაშლი და კუნელი. მსხალი და ბია.
ყურძენი. მაყვალი. მოცვი და წყავი.

ქედები. კლდეები. სერები. მთები.
მტკვარი და რიონი. ალაზან-ენგური.
მინდვრები. ველები. ძროხები. ცხვრები.
ზურნა. სალამური დაფი და ჩანგური.

მთვარიან ღამეში შარაზე ურმული.
გუთნური-გუთანზე. ჰორველა-კალოზე.
გარუჯულ სახეზე კაეშნის ჯურღმული,
კაეშნით სიმღერა. სევდიან კილოზე..

ორპირი ლაშქრული. ორპირი მაყრული.
ქორწილი სეფაში. გაშლილი ქეიფი.
სიცოცხლე ნატვრული. ცხოვრება მხატვრული.
სიმდიდრე ლალისა და თიხის სეიფი.

მეჯლიშის სიუხვე. სიცხადის სირუხვე.
ბროლის და ზურმუხტის იატაკ-ბანები.
ფირუზის ჰერები. ბაზალტის სერები.
საჰფირის კოშკები. ლაჟვარდის გლდანები.

ტყეები. ჩირგვები. შამბი და ბალახი.
ფშანები. ყანები. მწვანეები, მოლები.
სახლები. ძაღლები. ორღობე, ტალახი,
და გველებრ კლაკნილი მდინარის ზოლები.

მთიები. მთიები. მთიები... მთიები...
მინდვრები. მინდვრები... მინდვრები. ულევი...
ბარდები. ვარდები. ასკილი. იები.
შავი ზღვა. მალთაყვა. ფოთი და ყულევი.

**ნ. ზომლეთელი.**

რისა და ირლანდიის საზღვრებზე რძელდება შეტაკებები. სროლა ასტ ყდა ულსტერელ აჯანყებულთა თაო- ნობით.

**რომი**, 15 თებერ. (რადიო). ცნობაა იღებული, რომ ირლანდიაში ნაწილობრივ შესწყდა რკინის გზის მოძრაობაო.

**რომი**, 15 თებერვ. (იტალიის სატელეგრაფო სააგენტოს რადიო) სინფეინერების ულსტერზე დაცემის გა- ო ბელფასტში ახალი არეულობა მო- და. 18 კაცია მოკლული. ბევრი და- რილია აღნუსხული.

### ეთანხმება ტანჟერის შესახებ

**ნაუენი**, 15 თებერვ. (რადიო). ინ- ლისის, საფრანგეთის და ესპანიის წარმომადგენელთა შორის დაიწყო წინასწარი მოლაპარაკება ტანჟერის აკითხის შესახებ.

### ეგვიპტეს ავტონომია.

**ნაუენი**, 15 თებერვალი. (რადიო). ორდ ალენბიმ დაასრულა წინასწარი მოლაპარაკება მთავრობასთან, მია- წიეს პრინციპიალურ შეთანხმებას გვიპტეს ავტონომიის შესახებ. გან- რახვა აქვთ,—სერვეტ-ფაშას მისცენ ინადადება ეგვიპტეს მთავრობა შე- დგინოს. ინგლისის უზენაეს კომისრის თანამდებობა უქმდება და მის მაგიერ ინიშნება გენერალური კონსული და სრულუფლებიანი მინისტრი

ბრიტანიის ჯარი უნდა გაიყვანონ ქაირიდანაც და ალექსანდრიიდანაც. ელკანტარსა, პორტ საიდსა და ელრუბიელში რჩება ინგლისის გარნიზონი. აბუქირში, გზების თვალყურის სადევნელათ, დატოვებულია საჰაერო სადგური.

### საფრანგეთის სამხედრო ხარჯები.

**ნაუენი**. 15 თებერვალი. რადიო. საფრანგეთის მთავრობამ დეპუტატთა პალატაში წარადგინა პროექტი 190 მილიონ ფრანკის გადადების შესახებ 1921 წლის გაზაფხულზე მომხდარ მობილიზაციის ხარჯების დასაფარათ, როდესაც საფრანგეთი აპირებდა, მოკავშირეთა დაუკითხავათ, ულტიმატუმი წარედგინა გერმანიისთვის და თუ საჭირო იქნებოდა ამ ულტიმატუმისათვის შეიარაღებული ძალით დაეჭირა მხარი. მოკავშირეთა გავლენით საფრანგეთმა შემდეგში უარი თქვა თავის განზრახვაზე, მაგრამ მობილიზაცია მაინც მოახდინეს. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისია იმ აზრისაა, რომ მთავრობის პროექტი უნდა უარყოფილ იქმნასო.

# ქრონიკა

◆ **მისალმება თბილისის საბჭოს** ბილისის საბჭომ ქალ. თელავიდან იიღო შემდეგი მისასალმებელი დე- ეშა:

„ქალ. თელავის მუშათა და წითელ რმიელ დეპუტატთა პირველი საბ- ო გიგზავნით თავის მხურვალე მუ- ურ სალამს და აღთქმას სდებს ასზედ, რომ თავის უფროს ამ- ანაგების მოშორებით იგი იქ- ება ღირსეული დამცველი ხალხის ნტერესებისა და ეცდება დაამყაროს ომუნისტურ მოძრაობის პრინცი- ები.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართვე- ოს.

გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს, ჩვენ ფროს დას, და კომუნისტურ პარ- იას, კომუნისტურ რევოლიუციის ელმძღვანელს.

◆ **მგზავრების გადაყვანა.** გზე- ის ხაზზე გზის უფროსმა აცნობა, ომ ყველა მგზავრების გადაყვანა ა მათი ბარგის გადატანა, მათ შო- ის ყველა სამოქალაქო დაწესებუ- ების მუშების და მოსამსახურეებისა, 5 თებერვლიდან უნდა სწარმოებ- ეს ნაღდ ანგარიშზე, გარდა იმ მუშე- ისა და მოსამსახურეებისა, რომლე- იც შვებულებიდან ბრუნდებიან და ელთ აქვთ წინადადება და მანდატი, თებერვლამდე მიცემულნი. ასეთ გზავრებს ნებადართულია ბილეთები იეცეს უფასოთ 1 მარტამდე. 2-რე გა- ონაკლისს შეადგენენ კაცების მასსიუ- ი და სახელმწიფო გადაყვანა, ომლებსაც შეუძლიანთ იწარმოონ ხოლოთ ამიერ-კავკასიის რკინის ზების სამმართველოში წინადადების წარდგენის შემდეგ. გადაყვანა სამხედრო საბუთებით, პატიმრებისა და თანამხლებლებისა და შრომის სახალ. კომისარიატის მუშათა ძალის პარტიობით, არა ნაკლებ 25 კაცისა, უნდა სწარმოებდეს წინანდელ საფუძვლით ნისიათ. (კრედიტათ).

◆ **ახალი საღერბო გადასახადი.** ფინანსთა კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებამ აცნობა ყველა სახალხო კომისარიატებს, საბჭოთა, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს საქართველოს რევკომის მიერ ნაცვლად დეკრეტ № 61-სა ახალ დეკრეტის № 87 გამოცემა საბუთების აქტების ჯამის საღერბო გადასახადის და საკანცელარიო ბაჟის შეცვლის შესახებ. ყოველ საკითხის გამო, რომელსაც გამოიწვევს გაუგებრობას ახალ დეკრეტის ცხოვრებაში გატარების დროს, უნდა მიმართონ განმარტებისთვის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებას.

◆ **დასახიჩრებულ მეომართა სახელოსნო.** ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით და ნახევრად შრომის უნარის მქონეთა უზრუნველ საყოფად სოციალურ უზრუნველ. კომის. განზრახული აქვს მოახდინოს მის გამგებლობაში მყოფ დასახიჩრებულ მხედართა 8 სახელოსნოს რეორგანიზაცია, რომელიც დაექვემდებარება არა სრულ შრომის გამოყენების განყოფილებას, რომელიც მოეწყობა კომისარიატთან. სახელოსნოების რეორგანიზაცია მოხდება სამეურნეო ნიადაგზე. ამასთანავე განზრახულია მასში მიიღონ არა მარტო ომში დასახიჩრებულები, არამედ ყველა ინვალიდები, რომელთაც აქვთ უფლება მიიღონ სოციალური უზრუნველყოფა.

◆ **ბრძოლა პროსტიტუციასთან,** სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატთან არსებულმა პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლმა კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოიმუშავა საქართველოს რევკომში წარსადგენი მოხსენების და პროსტიტუციის წინაამდეგ ბრძოლის დეკრეტის პროექტი, აგრეთვე ორგანიზაციის გეგმა და ამავე საკითხის შესახებ აგიტაციის თემები. ეს დადგენილება მიღებულ პროექტებთან ერთად გადაეცემა განსახილველად კომიტეტს, რომელიც მოწვეულია დღეისათვის, 16 თებერვალს.

### სახ. განათლების კომისარიატში.

**აკადემიური ცენტრის და პროფესიონალურ განათლების მთავარ მმართველობის მუშაობა 1922 წლის იანვარში.**

სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალურ-ტეხნიკურ სექტორებმა დაასრულეს სასწავლო საგნების და გაკვეთილების მთელი კვირისთვის განაწილებების შედგენა სასოფლო სამეურნეო და ინდუსტრიალურ-ტეხნიკურ ტეხნიკუმებისთვის.

გამომუშავებულია ტეხნიკუმების 13 ტიპი; 1. მევენახეობისა და მებაღეობისა, 3. მეტყეობისა, 3. მესაქონლეობისა, 4. მიწის მზომელობისა, 5. გიდრო-ტეხნიკური, 6. მექანიკური, 7. საამშენებლო, 8. ქიმიური, 9. ელექტრო-ტეხნიკური, 10. სამთამადნო, 11. საზღვაო მექანიკურ განყოფილებით, 12. საზღვაო გემთ-საამშენებლო განყოფილებით და 13. საზღვაო გემთ-მოძრაობის განყოფილებით.

შეადგინეს 13 განაწილება მთელი კვირის გაკვეთილებისა ამ ტეხნიკუმებისათვის და 38 სერია სასწავლო საგნებისა. ყველა ეს მასალა გადათარგმნეს ქართულიდან რუსულ ენაზე; ქართულათ ეხლა იბეჭდება.

პედაგოგიური და სოციალურ-ეკონომიური სექტორი: საბოლოოთ მოაწესრიგეს პირველ საფეხურის სკოლების ურთიერთობა ტეხნიკუმებთან იმ მხრივ, რომ მათ ორივემ ისარგებლონ ტეხნიკუმების ბინებითა და ინვენტარით.

მოითხოვეს დაწვრილებითი ცნობები (სიები) ტეხნიკუმების მოსამსახურეთა და თანამშრომელთა რაოდენობაზე ნორმისა და საჭირო ულუფის რაოდენობის გამოსამუშავებლათ. ეს ცნობები გადაეცა საორგანიზაციო ცენტრს.

ადგენენ ტეხნიკუმების მოსწავლეთა სიებს კლასებისა, ეროვნებისა და სხვა ცნობების მიხედვით. ფიქრობენ მოაწესრიგონ პროვინციალურ ტეხნიკუმების მომარაგება ფიზიკურ აპარატებით და სხვა ხელსაწყოთი. გამოითხოვეს კრედიტი 30,000,000 მან. ქალ. თბილისის 9 ტეხნიკუმის საკანცელარიო და სამეურნეო საჭიროებისათვის.

სამკურნალო საბეითლო სექტორმა გამართა მთელი რიგი თათბირისა აფთიაქის მოწაფეების კურსების შესახებ.

შეუდგნენ ყოფილ ზინოვიევის კბილის სამკურნალო სკოლის (პლეხანოვის პროსპექტი) ინვენტარით მიღებას და მის გადაცემას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის გამგებლობაში.

გამოსთხოვეს საქართველოს რევკომს 91,000,000 მან. კრედიტი პედიატრიულ (საბავშვო სნეულების) კათედრის დასაარსებლათ სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან.

თითონ აკადემიურ ცენტრს ხელახლათ გაუხსნეს კრედიტი მეოთხე ტეხნიკუმის რემონტისთვის.

აკადემიურმა ცენტრმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს რევკომის წინაშე, რომ საზღვრები აზერბეიჯანსა და საქართველოს შორის ხელახლათ შეიცვალოს, იმ მიზნით, რომ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ხელახლათ შევიდეს ყარაიაზის რაიონის ადგილები ქართულ ხუროთ მოძღვრების ძველი ძეგლებით და ისტორიული არქეოლოგიურ მნიშვნელობით და დავით-გარეჯაში დაარსდეს განსაკუთრებული მეცნიერულ-ზედამხედველი პუნქტი ამ ძეგლების დასაცველათ.

„სამეგრელოს მუზეუმის“ გამოკვლევის დამთავრებული მასალები გადაეცა საქართველოს რევკომს შუამდგომლობით, რომ მან 10 მილიონი მანეთის კრედიტი გაუხსნას ამ მუზეუმის შესანახათ.

### ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან

ფინანსთა სახალხო კომისარიატი საყოველთაოდ აცხადებს, რომ საბჭოთა რუსეთის ფულების ქართულ ფულზე გადაცვლის უკანასკნელ დღეთ დანიშნულია შაბათი 18 თებერვალი 1922 წლის, ზემოაღნიშნულ ვადის შემდეგ ფულების გადაცვლის შესახებ ყოველგვარ მოთხოვნილებებს განიხილავს საქართველოს რევკომთან არსებული კანსაკუთრებული კომისია.

**ფინანსთა სახალხო კომისარიატი**
16 თებერვალი 1922 წ.

## სასურსათო გადასახადის კამპანიის მსვლელობა

**სასურსათო გადასახადის შემოსავალი.**

14 თებერვლის ცნობით, კამპანიის დაწყებიდან სასურსათო გადასახადით შეკრებილია: ხორბალი 19596 ფ. 28 გ., კარტოფილი 9900 ფ 11 გ., ბოსტნეულობა და ხილი 1151 ფ. 10 გ., ხორცი 376 ფ. 15 გ., ერბო 62 ფ. 35 გ., ზეთი 2 ფ., ყველი 120 ფ. 29 გ, მატყლი 63 ფ. 38 გ., ღვინო 700 ვედრო.

### ადგილებზე.

**სამხრეთ ოსეთი.**

სასურსათო გადასახადის შეკრება სამხრეთ ოსეთში დაიწყო 30 იანვარს და დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. პირველ 5 დღეს შეაგროვეს 431 ფ. ხორბალი და შემდეგ 6 დღეში კი—588 ფ. სულ შეგროვდა 11 დღეში 1019 ფ., რაც შეადგენს განზრახულ ხორბლის გადასახადის 8 პროცენტს (გაწერილია სულ 12483 ფუთი).

**ახალციხის მაზრა**

თვენახევრის განმავლობაში (15 დეკემბრიდან 1 თებერვლამდე) ახალციხის მაზრაში შეაგროვეს 3196 ფ. 18 გ. ხორბალი (დასახულ მიზნის 14 პროც.) და 3734 ფ. 22 გ. კარტოფილი (დასახულ მიზნის 15 პროც.) იანვრის გასმავლობაში გადასახადის შეკრება ნელა მიმდინარეობდა, ვინემ დეკემბრის მეორე ნახევარში. თებერვლის ცნობები ჯერ არ მოსულა.

**დუშეთის მაზრა**

13 თებერვალს მოვიდა პირველი ცნობა გადასახადის შესახებ. შეგროვილია 80 ფუთამდე ვაშლი და გამხმარი ხილი.

**თელავის მაზრა.**

ერთ ერთ წარსულ მიმოხილვაში აღნიშნული იყო, რომ იანვრის დასაწყისში შემჩნეული სასურსათო გადასახადის გაცხოველებული შეგროვება ვერ გავრცელდა ფართოდ, მიუხედავად კერძო დამზადებისათვის მაზრის დაკეტვისა. სასურსათო კომისარიატის ინსტრუქტორმა, რომელიც იყო თელავში იტყობინება, რომ გადასახადის შეგროვების გატარებას ხელი შეუშალა საბჭოების არჩევნების კამპანიამ, რომელმაც მიიქცია მუშაკთა და მოსახლეობის ყურადღება. უნდა ველოდეთ ახლო მომავალში ახალ გაძლიერებას, იმ პირობით თუ ადგილობრივი და თბილისიდგან გამოგზავნილი მუშაკები შეთანხმებულად ჩაატარებენ კამპანიას და თუ მიიღებენ ისინი ნამდვილ ზომებს ხორბალისა და სხვა სურსათის სპეკულიანტთა ხელში გადასვლის წინააღმდეგ.

# საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

**ბირჟის გახსნა თბილისში.**

ფინანსთა კომისარის განკარგულების თანახმად, ყოფილ აზოვო-დონის კომერციულ ბანკის შენობაში შესდგა თბილისის სავალიუტო-საქონლის ბირჟის პირველი საზოგადო კრება, რომლის წესდებაც დამტკიცებულია საქართველოს რევკომის მიერ.

ამხ. სვანიძის მოწოდებით კრებაზე გამოცხადდა 200-სამდე სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციების, კერძო მსხვილ წარმოებების და უცხოელთა ფირმების წარმომადგენლები.

ბირჟის კომიტეტის წარმომადგენლად ფინანსთა კომისარმა დანიშნა ნ. ი. ჯამგაროვი და მის ამხანაგად კი საქართველოს ს. ს. რ. სახალხო ბანკის გამგეობის წევრი ამხ. ა. პ. ნაიტაკი.

კომიტეტში დასახელებულია 21 კაცი, რომლიდანაც 15 ადგილი ეძლევათ სახელმწიფოს სამეურნეო ორგანიზაციების და კოოპერატივების რწმუნებულებს, სამი ადგილი ქალაქის აღმასკომის მიერ ოფიციალურად რეგისტრაციაში გატარებულ თბილისის ვაჭრებს, ერთი ადგილი „წარმოკავშირს“ ორი ადგილი ჯერ თავისუფალია. ბირჟის კომიტეტმა გამოყო თავის შემადგენლობიდან პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარე ჯამგაროვი, მისი ამხანაგი ნაიტაკი, წევრები: ამხ. კოლოშეიცევი და აფრიკიანი. საქმის მართველათ მიწვეულია ს. გ მაზმანოვი.

პრეზიდეუმის დადგენილებით ბირჟის კომიტეტის პლენარული სხდომა დანიშნული იყო 16-ისთვის, ხარჯთაღრიცხვის განსახილველად მაკლერების შტატის შესადგენად. რის შემდეგაც სავალიუტო საქონლის ბირჟის ფუნქციებს ჩააყენებენ ნორმალურ კალაპოტში.

### სასურსათო კომისარიატი.

**თივის დამზადება.**

სასურსათო კომისარიატის თივის დასამზადებელ აპერაციათა შესახებ გამოქვეყნებულ ცნობათა დასამატებლად უნდა აღინიშნოს, რომ 205,057 ფუთიდგან, რომელიც შეგროვდა ა. წ. 1 იანვრამდი 123,103 ფუთი ანუ 60 პროცენტი დამზადებულია სამეურნეო საშუალებით, 81,954 ფ. კი ანუ 40 პროცენტი შესყიდულია. სამეურნეო საშუალებით ყველაზე მეტი დამზადდა ბაკურიანის რაიონში (80 ათასი ფ.), შემდეგ კი ყარაიაზის და ბადიაურის რაიონში; თივის შესყიდვა სწარმოებდა უმთავრესად ყარაიაზის, საგარეჯოს და ნავთლუღის რაიონებში.

**პურის ულუფის ფქვილით ან ხორბლით შეცვლა**

სასურსათო კომისარიატმა განმარტა, რომ იქ, სადაც ადგილობრივ პირობათა გამო შესაძლებელია პურის ულუფის შეცვლა ხორბლით ან ფქვილით, ესეთი შეცვლა ნება დართულია შემდეგი შეფარდებით პურსა, ხორბალსა და ფქვილის შორის: თვიური 60 გირვ. პურის ულუფა უდრის 40 გირვ. სიმინდის ფქვილს ან 45 გ. სიმინდს, 43 გ. პურის ფქვილს ან 48 გირ. ხორბალს. თვიური 75 გ. ულუფა უდრის 50 გ. სიმინდის ფქვილს ან 60 გ. პურისას. ხორბლისა და პურის ფქვილის მიცემის დროს შეიძლება შეერიოს ქერი არა უმეტეს 30 პროცენტისა.

# მუშათა მთლიან კოოპერატივში

**შესყიდვა რწმუნებულების საშუალებით.**

მთლიან მუშათა კოოპერატივისათვის საქონლის შემსყიდავი რწმუნებულები თვიურ ჯამაგირიდან გადაყვანილ იქნენ პროცენტებზე. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ თვიური ჯამაგირის სახით მათი შრომის ანაზღაურება იწვევდა შესყიდვის მოდუნებას. ამ ჟამად ყოველ რწმუნებულს მიჩენილი აქვს რესპუბლიკის რომელიმე რაიონი, რომლის ფარგლებშიც ის ვალდებულია აწარმოოს საქონლის შესყიდვა. გამგეობის მიერ რწმუნებულს ეძლევა საქონლის შესასყიდათ ავანსი საქონლათ ან ფულად ყოველ ცალკე შემთხვევაში არა ნაკლები 100 მ. ოქროს კურსით და ის ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში ავანსის მიღებიდან მოიტანოს თბილისში გამგეობის მიერ მასზე შეკვეთილი პროდუქტები. პროდუქტები უნდა შეიძინოს რწმუნებულებმა თბილისში მოტანით 25 პროც. უფრო იაფად მაინც ვიდრე ის იყიდება ბითუმად თბილისში.

კოოპერატივი აწარმოებს თბილისის ბაზრის ფასების და რწმუნებულის მიერ მოტანილ საქონლის ფასის განსხვავების ანგარიშს. იმ შემთხვევაში საშუალო პროცენტი აღმოჩნდება 25 პროც. ნაკლები, რწმუნებულები კარგავენ სამსახურს, თუ ის 25 პროც. მეტი იქნება საშუალო განსხვავების თანხიდან (**с суммы средней разницы**) რწმუნებულს საჩუქრის სახით ეძლევა 30 პროც.

მთლიან მუშათა კოოპერატივების რწმუნებულები იძენენ საქონელს იმ სახით და იმდენს, როგორც ამას ავალებს კოოპერატივის გამგეობა. სხვა საქონელი მათ შეუძლიათ შეისყიდონ მხოლოდ კოოპერატივის გამგეობის წყალობით ნებართვის შემდეგ. შესყიდვის დროს იმ რაიონებში, სადაც არსებობენ კოოპერატივები, რწმუნებულები ვალდებული არიან შესყიდვა მოახდინონ პირველ რიგში მუშათა კოოპერატივების საშუალებით, შემდეგ სხვა კოოპერატივების დახმარებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჭირო ვადაში შეუძლებელი იქნება ყველა შესაძენი საქონლის შესყიდვა ამ ორგანოების საშუალებით, მაშინ რწმუნებულებს ნება ეძლევათ დამატებითად შეისყიდონ თავის აგენტების დახმარებით კერძო პირებიდან. მთლიანი მუშათა კოოპერატივის რწმუნებულებს ეძლევათ. ჯამაგირის მაგიერ შესყიდული საქონელზე დახარჯულ თანხის 3 პროც. და სამგზავრო ფულის რწმუნებულებს არ შეუძლიან სხვა რაიმე სამუშაო შეასრულონ, გარდა იმისა, რომელიც მათ აქვთ დაკისრებული კოოპერატივის მიერ.

**ტრანსპორტი.**

მთლიან მუშათა კოპერატივის სატრანსპორტო განყოფილების ანგარიშიდან სჩანს, რომ ტრანსპორტის შტატი 1922 წ. 1 იანვრისათვის შესდგებოდა 93 კაცისაგან. ტრანსპორტს თავის განკარგულებაში ყავდა 28 გადამზიდავი საშუალება (საბარგო და მსუბუქი ავტომობილები, „დროგები“ და სხვ.) და 66 ცხენი.

**1921 წლ. 10 ნოემბრიდან 1922 1 იანვრამდი გადატანილია ტვირთი:**

| ტვირთი | ურემი | საბარგო ავტომობ. | სულ. |
|---|---|---|---|
| მთლიანი მუშ. კოოპერ. | 43.759 | 22.350 | 68.109 |
| სასურსათო კომისარიატ. | 46.146 | 25.240 | 71 886 |
| საზ. კვების განყოფილ. | 35.595 | 2.216 | 37.811 |
| სხვა და სხვა გადატვირთ. | 1.681 | — | 1.681 |
| მთლ. მუშ. კოოპერ. მოსამსახურეები (ე. ი. ულუფა და პური). | 840 | — | 840 |
| 128,021 | | 51,806 | 179.827 |

ამავე პერიოდის განმავლობაში მუშებმა გადმოტვირთა და დატვირთა 137.617 ფ. ტვირთი.

ამ დროის განმავლობაში ტრანსპორტის შენახვის ღირებულება შემდეგია: ცხენების საკვები—158102750 მან., ურმების შეკეთება—24.469,600 მან., მსუბუქ ავტომობილების შეკეთება—9.315,000 მან., ცხენების დაჭედვა—8.488,425 მან., ბინების და თავლების განათება — 390,000 მან., სამეურნეო ხარჯები—865,800 მან., მედიკამენტები ცხენებისათვის 1,000,000 მან., საკანცელიარო ხარჯები—1.000,000 მან., წვრილი თოკი ტომრების საკერავად—1.730,000 მანეთი და შტატის შენახვა—101.578,938 მან. სულ—306.935,313 მან.

საერთოდ ტვირთის გადატანა და მისი დატვირთვა—გატვირთვა დაუჯდა მუშათა მთლიან კოოპერატივს—26,308 მან , ე. ი. საშვალოდ ბაზრის ფასის ერთი მესამედი.

**პურის გამოცხობა.**

მთლიან მუშათა კოოპერატივის პურის ოპერაციების ზრდას ნათლად ამტკიცებს ქვევით მოყვანილი ციფრები:

1922 წ. 1 იანვრისათვის საცხობში № 1 გამომცხვარი პური დარჩა 204 ფ. 20 გირ., საცხობში № 2—1324 ფ. 18 სამი მეოთხ. გ. იანვრის განმავლობაში ფურნეებში გამოცხვა: № 1—4887 ფ. 15 გირ., ფურნეში № 2—33,658 ფ. 10 გ., იანვარში ამ ფურნეებმა გასცეს პური: მთლიან მუშათა კოოპერატივის დუქანს № 1—595 ფუთი, № 2—431 ფუთი 2 გირ., დაწესებულებებს, რომლებსაც სახელმწიფო აძლევდა ულუფას სასურსათო კომისარიატის ხარჯზე—№ 1—2302 ფუთი 16 სამი მეოთხედი გირვანქა, № 2—27.833 ფუთი 34 გირ., დაწესებულებებს, რომლებიც გადავიდნენ საკუთარ მეურნეობაზე—№ 1—1,506 ფუთი 34 გირ., № 2—4467 ფუთი 5 სამი მეოთხედი გირ., საცხობის მოსამსახურეებს № 1—151 ფ. 28 გირ., № 2—673 ფ. 13 გირ. და მუშათა კოპერატივის თანამშრომლებს—№ 1—16 ფ. 25 ნახევ. გირ. № 2—525 ფ. 28 სამი მეოთხედი გირ. ამის გარდა საცხობიდან № 2 მუშ. მთლიან კაოპერატივის თანამშრომლებს მიეცა ფას გადახდით 4 ფ. 2 გირ. და გაიყიდა ფას გადახდით პურის ნაფჩხვენი: № 1—31 ფ. 20 გ. № 2—41 ფ. 20 გირ.

ამ ნაირად პურის გაცემამ საცხობის № 1 მიერ იანვრის განმავლობაში მიაღწია 4,604 ფ. 4 და ერთი მეოთხედი გირ., საცხ. № 2—33,977 ფ. 3 ნახ. გირ. სულ 38,581 ფუთი და 7 სამი მეოთხედი გირ. დღიურათ მოდიოდა 1000 ფ. ამ ჟამად მთლიანი მუშათა კოოპერატივის საცხობები ყოველ-დღიურად აძლევენ პურს მუშ. მთლიან კოოპერატივის დუქნებს საშუალოდ 190 ფ., დაწესებულებებს, რომლებიც ირიცხებიან სახელმწიფო მარაგზე სასურსათო კომისარიატის ხარჯზე საშუალოდ -1043 ფ. და დაწესებულებებს, რომლებიც გადავიდნენ—საკუთარ მეურნეობაზე საშუალოდ—280 ფ. ეს სამი კატეგორია იძლევა ყოველ დღიურად 1500 ფუთამდი.

თებერვლის დასაწყისიდან დაიწყო საცხობებიდან პურის კოლექტიური წაღება. ცალკე წარმოებების მუშები და მოსამსახურეებს შემოაქვთ წინდაწინ 10 დღის პურის ფასი და მიაქვთ პური უშუალოდ საცხობებიდან წიგნაკების განსაზღვრულ რიცხვის თანახმად.

მთლიან მუშათა კოოპერატივის საცხობებიდან კოლექტიური პურის წაღება საშუალოდ დღეში უდრის 20 ფუთს.

# ჩვენი კომუნალური მეურნეობა

## თბილისის ტრამვაი

**თბილისის ტრამვაი.**

ბოლოს დროს, მანეთის კურსის დიდ დაცემასთან დაკავშირებით, თბილისის კომუნალურ მეურნეობის მდგომარეობა ძლიერ გაუარესდა; გვა ნი იმედები ქალაქის მეურნეობის

წესრიგებისა, რომლებსაც ხშირათ ახსენებდნენ ქალაქის რევკომის მოხსენებებში და რომლებიც მაშინ ნამდვილათ დამყარებული იყვნენ ცოტათ თუ ბევრათ მკვიდრ საფუძვლებზე (წარმოებათა შემოსავლიანობა, წარმოებათა აღდგენის რიგიანი მსვლელობა და სხვა). ამ ჟამათ გვეხატება რამდენადმე უფრო ცუდი სახით.

კერძოთ—ქალაქის ტრამვაი, რომელიც ერთი პირველთაგანი იყო გადაყვანილი სამეურნეო საფუძველზე, იძლეოდა დღე-ღამეში 20-25 მილ. მანეთს წმინდა შემოსავალს. ეს ზედმეტი შემოსავალი აძლევდა ქალაქს სახსარს გაეკეთებინა ვაგონების რემონტი და ტრამვაის სხვა საქმეები. ეხლა ტრამვაის შემოსავალი ძლიერ დაეცა. სამუშაო ქირის ახალი განაკვეთები ნთქავენ ტრამვაის მთელ შემოსავალს, იმ მიზნით, რომ სახსარი აღმოეჩინა და ტრამვაისთვის ძველი ფინანსიური მდგომარეობა დაებრუნებინა ქალაქის რევკომმა, როგორც ვიცით, ერთი სამათ გაადიდა ტრამვაის ქირა. ამ ღონისძიებამ რამდენადმე გამოაკეთა მდგომარეობა, მაგრამ რადიკალურათ კი ვერ გადასწყვიტა ეს საკითხი.

მიმდინარე ხარჯების გარდა, ქალაქის ტრამვაის ნამდვილ აღდგენისთვის აუცილებლათ საჭიროა აუარებელ ფულის დახარჯვა. ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ინჟენერ ტ., თბილისის ტრამვაის ერთ-ერთ მშენებელს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამათ თბილისის ტრამვაი და რა არის საჭირო მის აღსადგენათ.

17 წელიწადმა, რომლის განმავლობაში არსებობს თბილისის ტრამვაი, შეასრულა თავისი საქმე. ამ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, სრულიად არა-ნორმალურ ექსპლოატაციის პირობებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ უკანასკნელ წლებში,—ტრამვაის რთულ მეურნეობის ნაწილები თითქმის ყველა გაცვდა. სწორეთ გასაკვირალია, თუ კომუნ. მეურნეობის განყოფილება როგორ ახერხებს კიდევ ვაგონების მოძრაობას.

დავიწყოთ იქიდან, რომ ტრამვაის არა აქვს თავის განკარგულებაში ელემენტარული და ელექტრო ტეხნიკური მასალები, რომლის მიღება შეიძლება მხოლოდ დასავლეთ ევროპიდან; არა აქვს ბანდაჟები ვაგონებისთვის; სამუშაო მავთული (საკონტაქტო) არ გამოუცვლიათ 17 წლის განმავლობაში და მას უკვე შესამჩნევათ ნაკლები დიამეტრი აქვს შედარებით პირვანდელთან, რის გამოც შესამჩნევათ იკარგება ენერგია. თუ იმასაც დაუმატებთ, რომ უკანასკნელ წლებში, როდესაც რელსები, ისრები და სხვა ნაწილობრივ შეცვალეს,—ელექტრონული შეერთება ლიანდაგზე არ განუახლებიათ რაც უშლიდა ხელს უკან დაბრუნებულ ნაკადის წესიერათ მსვლელობას, ამიტომ ენერგიის უსარგებლოთ დაკარგვა დიდ ზომამდე ადის.

რელსებიც უკიდურესობამდე გაცვდა, თუმცა ესენი ნაწილობრივად განაახლეს. რელსების გაფუჭება საგრძნობია ნამეტნავათ მოსახვევ ადგილებზე, სადაც რელსები ერთმანეთზე არიან გადაბმულნი, რისგანაც ვაგონი მოძრაობის დროს ძლიერ ხტის, რაც თავის მხრივ აძაბუნებს ვაგონებს. ეხლა რელსების ქსელის სამი მესამედი მაინც გამოცვლას თხოულობს.

ვაგონების მეტის მეტათ დატვირთვამ რაც უკანასკნელ წლებში მუდმივ მოვლენათ გადაიქცა,—ძლიერ ცუდი გავლენა იქონია ვაგონების მდგომარეობაზე. ორთქლის ქვაბებისა ელექტრონის სადგურისა, რომელიც ტრამვაის ამარაგებს ენერგიით,—უკვე შეასრულეს მათთვის დანიშნული ვადა და ან კაპიტალურ რემონტს მოითხოვენ ახლებით.

ქვაბებს ახურებენ ქვა ნახშირით, რომელსაც ბევრი გოგირდი ურევია და ამასაც მეტათ ცუდი გავლენა აქვს ქვაბისა და ქურების მუშაობის ხანგრძლივობაზე.

— მაშ რის გაკეთება შეიძლება და რა უნდა გაკეთდეს?

— რელსების შეკვეთა შეიძლება რუსეთშიაც, ტაგანროგის რელსის ქარხანაში. ელექტრო ტეხნიკურ მასალის გამოწერა გერმანიიდან შეიძლება. რამდენათაც ვიცი,—დაუმატა ჩვენმა მოსაუბრემ,—ეს ნაწილობრივ უკვე გაკეთებულია, და ასე, სამის კვირის შემდეგ მასალის ნაწილს მივიღებთ გერმანიიდან. რაც შეეხება ბანდაჟებს,—მათი შეკვეთა შორიდან, უნახავათ შეუძლებელია. მათ დასამზადებლათ აუცილებლათ საჭიროა ნახაზებით წავიდეს მცოდნე კაცი გერმანიაში და ადგილობრივ თვალი ადევნონ მათ დამზადებას.

ასეთი ზომებით, რომლებიც სასწრაფო წესით უნდა შესრულდეს, შეგვიძლიან გავაგრძელოთ ტრამვაის ნორმალური მუშაობა და ამავე დროს თან და თან კაპიტალური რემონტი გაუკეთოთ ელექტრონის სადგურს.

კომუნალურ მეურნეობის განყოფილება, ტრამვაის დირექცია და კომუნალურ მუშაკთა კავშირი ეხლა ღებულობენ ყოველ ზომას, რომ გერმანიიდან მიიღონ ტრამვაის რემონტისთვის საჭირო მასალა.

ამაში დიდ დახმარებას უწევს მათ ცენტროკავშირი.

# პროვინციაში

## რაჭის მაზრა.

(მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების მოქმედება 1921 წ.)

რაჭის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ დაიწყო თავისი მოქმედება დღიდან გადატრიალებისა ე. ი. 1 მარტიდან.

თუმც განყოფილებას არ ქონია დამოკიდებულობა ცენტრთან მაისის ბოლო რიცხვებამდე და არ მიუღია არავითარი ინსტრუქცია ან დებულება თავის მოქმედების შესახებ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, განყოფილებამ შესძლო თავისი გამოცდილებით ეწარმოებია საქმე ისე, რომ კომისარიატიდან მიღებული დადგენილება ამა თუ იმ საკითხის გარშემო უკვე ასწორით იყო გატარებული ცხოვრებაში განყოფილების მიერ.

განყოფილებამ მიიღო ყოფილ მენშევიკური მთავრობიდან დარჩენილი ორი საავადმყოფო 16 საწოლით, რომლის ქონება თითქმის გაფლანგული, გატაცებული იყო. დიდი მხნეობა - მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ გაფართოვებულიყო მოქმედება განყოფილების, ნამეტნავად სამკურნალო საექიმო დარგში, რომ 90 ათასი მცხოვრები მაზრისა არ დარჩენილიყვნენ საექიმო დახმარების გარეშე.

განყოფილებას რომ ეწარმოებია თავისი საქმე სწორი ხაზით, ესარგებლებია გამოცდილ და საქმეზე ახლოს მდგომ პირებით, მიუხედავათ მათი პოლიტიკური მიმართულებისა, თავიდანვე იყო შექმნილი კოლეგია.

კოლეგიას ქონდა სულ სხდომა 37, რომელზედაც გაირჩა 141 საქმე. უმთავრესი გასარჩევი საკითხები კოლეგიისა შეეხებოდენ ორგანიზაციულ კითხვებს. მაგალითად, სამკურნალო ქვეგანყოფილების საკითხი დაისვა პირველ რიგში და როგორც ზევით ვთქვი, ვინაიდან, 16 საწოლიანი საავადმყოფო ვერ დააკმაყოფილებდა მაზრის დიდ მოთხოვნილებას. თუ მივიღებთ მხედველობაში 90 ათას მცხოვრებს, მასთან გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ მდებარეობას მაზრისას; მთა-გორიანი ადგილები, უგზოობა, ტრანსპორტის უქონლობა და სხვა, ცხადია რომ მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა დარჩებოდენ უექიმოთ, რის გამო ისინი ძალაუნებურათ უნდა ჩავარდნოდენ გასატყავებლათ სოფლის მკითხავ ექიმბაშებს.

განყოფილებამ ეს საკითხი მთლიანათ ასწონდასწონა, მიიღო მხედველობაში ყოველივე გარემოება მაზრისა და დაყო მთელი მაზრა 8 საექიმო უბნათ, საფუძვლად მიიღო 10 ვერსის რადიუსი და მცხოვრებთა რიცხვი არა უმეტეს 10 ათასისა.

ჯერჯერობით გავხსენით მხოლოდ სამი პუნქტი, ერთი საექიმო და დანარჩენი საფერშლო, ამ უკანასკნელთ აქვთ დროებითი ხასიათი, რადგან საფერშლო პუნქტის არსებობა განყოფილებამ პრინციპიალურად უარყო, ამიტომ როდესაც კომისარიატი მოგვცემს საშუალებას, რაზედაც ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ ხოლმე, საფერშლო პუნქტები გადაკეთებული იქნებიან საექიმოდ.

გავაფართოვეთ თვით საავადმყოფოები, მაგალითად ონის საავადმყოფო გადავაქციეთ მაზრის ცენტრალურ საავადმყოფოთ 40 საწოლით. მოვაწყვეთ გარდა თერაპევტიულისა ქირურგიული და გინეკოლოგიური განყოფილებანი.

უნდა აღვნიშნო, რომ ქირურგიული განყოფილებამ, დაიმსახურა ხალხის ნდობა, სიმპატია და თანაგრძნობა, რაც აიხსნება იმითაც, რომ სათავეში უდგას გამოცდილი მცოდნე სპეცი დოსტაქარი. მან გააკეთა ათი თვის განმავლობაში ოპერაცია სამჯერ მეტი, ვიდრე იყო გაკეთებული მენშევიკების სამი წლის მართვა-გამგეობაში.

სულ იყო მის მიერ გაკეთებული 74 რთული ოპერაცია. საერთო რიცხვი ქირურგიული და გინეკოლოგიური ავადმყოფობა იყო 264.

სულ საავადმყოფოში იყო მიღებული 504 ავადმყოფი, რომლებმაც გაატარეს 4093 მწოლიარე დღე.

ამბულატორიაში გაიარა პირველათ 14857, მეორეთ 3107 სულ 16064 ავადმყოფმა. ამათში ქირურგიული ავადმყოფი იყო 6618.

არა ნაკლები ყურადღება იყო მიქცეული სანიტარულ ქვე-განყოფილებაზე.

რადგან მოსალოდნელი იყო მაზრაში პარტახტიანი სენების გავრცელება, ამის პირობებს ხელს უწყობდა, როგორც სიტიტვლე, შიმშილი და სხვა, იყო მიღებული ზომები სისუფთავის დაცვისათვის, რისთვისაც იკითხებოდა ლექციები, ვაწყობდით წმენდის კვირას, ურიგებდით ხალხს შეძლების დაგვარათ საპონს.

როდესაც თბილისში იჩინა თავი ხოლერამ, მაზრის მდგომარეობა საშიში შეიქნა, რომ აქაც არ შემოეტანათ ეს ავადმყოფობა, რადგან მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა არის გახიზნული ქალაქათ სამუშევარში, ამიტომ ჩვენ მივაწყვეთ კარანტინები შემოსავალ პუნქტებზე. დავაყენეთ საექიმო პერსონალი, რომელიც თვალყურს ადევნებდა თბილისიდან მომავალს. სწორეთ ამით აიხსნება ის მცირე რიცხვი ხოლერით გამხდარი ავადმყოფების მაზრაში იყო სულ 6 შემთხვევა, დროზე; თითქმის იმავე დღეს ვნახულობდით ავათმყოფებს და ვღებულობდით ყოველგვარ სანიტარულ ზომებს მის გავრცელების წინაამდეგ. ყვავილის აცრა მაზრაში სწარმოებდა სისტემატიურათ გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

გარდა ამისა განყოფილებამ შეიმუშავა მთელი რიგი საკითხები სანიტარულ სფეროში, რომლის სისრულეში მოყვანა ვერ შესძლო ჯერ-ჯერობით მედპერსონალის უყოლობის გამო, მასთან ფინანსიური კრიზისიც ხელს გვიშლიდა, მაგრამ ერთგვარი ნაბიჯი მაინც იყო გადადგმული, მაგალითად, ჩვენ მოვახდინეთ სანიტარული აღწერა სოფლების, რისთვის მაზრა იყო დაყოფილი რამდენიმე რაიონათ, სადაც წავიდენ ექიმები და მოახდინეს აღწერა და გაეცვნენ სოფლის მცხოვრებთა მდგომარეობას სანიტარული მხრით, რამაც მოგვცა დიდი მასალა.

საფარმაციო ქვეგანყოფილებას მოქმედება გამოიხატა უმთავრესად იმაში, რომ მან მოახდინა ნაციონალიზაცია ორი ერობის და ორი კერძო აფთიაქების. ასე რომ ამ ჟამათ მაზრაში 4 აფთიაქია. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო საფერშლო პერსონალის გულგრილობა, საფარმაციო დაუდევრობა, რომელიც ემჩნევათ მათ. უნდა აღვნიშნო, რომ დიდათ გვიშლის ხელს წამლების უქონლობა, რომელსაც დროზე ვერ ვღებულობთ ცენტრიდან რის გამო მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა რჩებიან უწამლოთ.

მასთან ახლად შეძენილი აფთიაქები მოითხოვენ დიდ ხარჯებს ინვენტარის შესაძენათ, ბინის შესაკეთებლათ.

განყოფილებამ ვერ აუხვია გვერდი მიუხედავათ ფინანსიურ კრიზისისა დედათა და ბავშვთა აღზრდის საკითხს. თავის თავად ცხადია, რომ ეს ქვეგანყოფილება მოითხოვს დიდ ხარჯს, რომლის გაღება სახელმწიფო დაუხმარებლათ ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ პატარა დადებითი ნაბიჯი აქაც იყო გადადგმული და წლის ბოლო დროს გავხსენით ქ. ონში დედათა და ბავშვთა თავშესაფარი. ჯერჯერობით ამ თავშესაფარში ფულის ნიშნების უქონლობის გამო იმყოფებიან მცირე რიცხვი ბავშვების, მოვახდინეთ აღწერა ბავშვებსა ქალაქ ონს და მას ახლო მდებარე სოფლებსა, რომელნიც საჭიროებდენ ხელოვნურ გამოკვებას.

განყოფილებამ მიიღო სახალხო კომისარიატიდან 57,000,000; რევკომიდან სესხათ 11,575,730; აფთიაქების ნავაჭრიდან 13,972,078; საავადმყოფოში მწოლიარე ავადმყოფებიდან 2,440,000; სულ 85,287,808 მანეთი დაიხარჯა სამკურნალო ქვეგანყოფილებზე 36,896,369, სასანიტრო ქვეგანყოფილებაზე 14,986,141, ფარმაცევტიულ ქვეგანყ. 17,736,708; სამნეო განყოფილებაზე 7,397,134; და საერთო განყოფილებაზე 8,271,458 მან. ამათში ავადმყოფების გამოკვებაზე 15,130,774; გათბობა-განათება 4,382,600; სარეცხი და დეზინფექცია 3,578,000; ინვენტარი 7,500,000; ზედმეტი საათების ნამუშევარში 6,493,442 მ. და სხვა და სხვა ხარჯებ. 16,521,521., სულ 85,287,808 მანეთი.

უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული განყოფილების მიერ, რომ ყოფილიყო სასურველი დამოკიდებულება ხალხსა და საექიმო პერსონალს შორის. პირველ ხანებში ერთგვარ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი გასამრჯელოს აღების გარშემო განყოფილება ხელგულდაკრეფილი ვერ უყურებდა თუ რა რიგათ იმართებოდა ვაჭრობა მომაკვდავის თავზე, მან მიაქცია მას ყურადღება. გამოუშვა ერთგვარი ტარიფი, რითაც კმაყოფილი დარჩა ორივე მხარე.

**რაჭის მაზრის ჯანმრთელ. განყოფილების გამგე ა. ყამყრელიძე.**

## საშინელი ქარიშხალი სამეგრელოში.

7 თებერვალს გათენებისას სამეგრელოში ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, რომლის მსგავსი ჯერ არავის უნახავს. ქარი ისეთი სიძლიერით ჰქროდა, რომ ადამიანს ეგონებოდა დედა მიწა ინძრევაო.. ქარი ყველაფერს ანგრევდა: ას წლიან ხეებს უზარმაზარ შტოებს სტეხდა და ფურცლებივით გაჰქონდა აქეთ იქით; სახლებს სახურავებს გლეჯდა და ჰაერში დაჰქონდა ბუმბულივით; დიდ დიდ ხეებს ძირიან ფესვიანად გლეჯდა მიწიდან და ახლო-მახლო სახლებს ანარცხებდა სახურავზე და სრულიად ანადგურებდა საცხოვრებელ ბინებს. ქარიშხალი ერთნაირი ძლიერებით ჰქროდა სამ დღე და ღამე და მცხოვრებლებს მიაყენა ფრიად დიდი ზარალი, მე პირადად იმაზე ვიტყვი, რაც ჩემი თვალით ვნახე ზუგდიდიდან სენაკამდე მოგზაურობის დროს.

დანგრეულია ტელეგრაფის რკინის ბოძებიც, მრავალი სახლები სრულიად გადაგდებულია ორ არშინიანი ქვის საძირკვლის ბოძებიდან და გადასროლილია 2—3 საჟენზე გვერდით. სხვათა შორის დანგრეულია სოფელ ციაიშის შრომის სკოლის შენობა. ზარალი აუწერელია. გზა-გზა ვნახე დანგრეული არა ნაკლები 50 სახლისა. უფრო მეტად დაზარალდნენ ისინი ვისაც ეხლახან დაეწყო სახლების აშენება და მხოლოთ კედლები ჰქონდათ აშენებული.

**ის. შიოძე.**

# წარმოებითი პროფკავშირებში

### სახალხო კვების იკავშირში.

საბჭოთა სასადილოების ლიკვიდაციის შემდეგ კავშირის ორი მესამედი (ქალაქის მასშტაბით) უმუშევრად დარჩა, რის გამო კავშირმა აღძრა შუამდგომლობა უფრო მეტად გაჭირვებულ უმუშევრების პურით უზრუნველყოფის შესახებ, რაც ამ ჟამად ტარდება ცხოვრებაში. კერძო წარმოების დათვალიერებამ სწორად გამოარკვია როგორც რიცხვი მოსამსახურეების და მუშებისა, რომლებიც იქ მუშაობენ, ისე მუშების საჭირო რაოდენობა და რაც უფრო საყურადღებოა გამოაშკარავდა მწარმოებლების მიერ მუშების მიღების და დათხოვნის კანონების სრული დარღვევა.

საჭირო გახდა მოვლაპარაკებოდით შრომის სახალხო კომისარიატს დაქირავების კანონის პრინციპიალურად განხორციელების საკითხის შესახებ და აქედან როგორც შედეგი კერძო წარმოებებში მოვხსენით მუშები, რომლებმაც დაიწყეს მუშაობა 1 იანვრიდან.

ახალი ტარიფები გატარებულია 18 კერძო და კოოპერატიულ წარმოებაში. უმუშევართა რიცხვიდან სამუშევარზე დაყენებულ იქნა 162 კაცი.

რაც შეეხება კონფლიქტებს—დეკემბრიდან ისინი დარჩა სამი, იანვარში იყო 11 კონფლიქტი, მუშების სასარგებლოდ გადაწყდა 8, გადაეცა პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს—2, გამოურკვეველობის გამო შეჩერებულია—3. კონფლიქტების ხასიათი: ტარიფის დარღვევა, ჯამაგირის და ულუფის მიუცემლობა.

შრომის დაცვის განყოფილების მოქმედება გამოიხატა 24 წარმოების გამოკვლევაში, სადაც შევამჩნიეთ შემთხვევები ქალების და მცირე წლოვანების შრომის ექსპლოატაციისა. გამოკვლეულ წარმოებებში დაწესდა 4 საათის სამუშაო დღე მცირე წლოვანთათვის და 4 წარმოებაში 5 მუშა-ქალი გადაყვანილ იქნა მძიმე სამუშაოდან მსუბუქ სამუშაოზე.

### ბეჭვდითი საქმის მუშაკები იანვარში.

წარმოებაში შრომის მომგვარებელი განყოფილების მიერ კავშირის ყველა დაწესებულებებში და წარმოებებში გატარებულია ახალი კვალიფიკაცია 17 კატეგორიანი ქსელით; ამასთან ყველა უმაღლესი კვალიფიკაციის მუშები იღებენ ქირას მე-9 და ტეხნიკური ხელმძღვანელები მე-10 კატეგორიით.

სამუშაო ქირის ფასი გაზეთებზე აღწევს 7,500 და წიგნების აწყობაზე კი 8,000 ნიშანს; ამასთან წარმოებაში შრომის მომგვარებელი განყოფილება გამოდიოდა კარგი მუშაკის საშუალო ხელფასიდან პრემიალურ სისტემის დროს. ნარდი ხელფასის სისტემა გატარებულია ჯერჯერობით გაზეთის სამუშაოზე და ამ წესით იღებს სამუშაო ქირას 50 კაცი—გაზეთის ასოთ ამწყობები.

შტატების შემოკლება გატარდა ყველა წარმოებებში და შტატს გარეთ დარჩენილების რიცხვი უდრის 52 კაცს.

რაც შეეხება შრომის დაცვის განყოფილებას, მან შეასრულა წინასწარი მუშაობა „შრომის დაცვის კვირის“ ჩასატარებლად, რომელიც განზრახული იყო პროფკავშირების ცენტრალურ საბჭოს შრომის დაცვის განყოფილების მიერ. განყოფილების მიმდინარე მუშაობა სწარმოებდა ძველი მიმართულებით. განყოფილება კონტროლს უწევდა წარმოებებს, დაწესებულ ნორმაზე ზევით მუშაობის ნებას რთავდა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებში ასოთ-ამწყობებისა და მძინავებისათვის. წარმოებებში ქალების მუშაობა ღამღამობით აღკრძალულია და პოლიგრაფიულ წარმოების ყველა მუშები სარგებლობს ყოველ კვირას განუწყვეტელი 24 საათის დასვენებით.

კავშირის წევრებს საექიმო დახმარებას უწევს დამზღვევი კასა და სპეციალური საექიმო დახმარება წარმოებებში უმნიშვნელოა. ამ ჟამად ამ სფეროში დაწყებულია დაწვრილებითი გამოკვლევა.

განათლების კომიტეტის მოქმედება იანვრის პირველ ნახევარში გამოიხატა პროფკავშირის წევრების ბავშვებისათვის შობის ხის მოწყობაში. სულ შობის ხესთან მოვიდა 550 ბავშვი.

წარმოებებისათვის [illegible] სო მიწოდების [illegible] შირებით, განათლების კომიტეტმა გამოიმუშავა (რომელიც უკვე მიიღო პოლიგრაფიულმა განყოფილებამ) მუშებისთვის პრესის მიწოდების შემდეგი წესი: გაზეთები იწერება წარმოებების ხარჯზე შემდეგი ნორმით: ყოველი წარმოება დამოუკიდებლად მუშების რიცხვისა იწერს ერთ გაზეთს, თუ მუშების რიცხვი აღემატება 15, მაშინ ყოველ 15 ან მის ნახევარზე 8 და ზევით) უნდა გამოიწეროს კიდევ ერთი გაზეთი. კავშირი იწერს გაზეთებს მხოლოდ თავის საჭიროებისათვის და თვალყურს ადევნებს, რომ წაკითხული გაზეთები გადაიგზავნოს შემდეგ მუშათა სახლების სამკითხველოებში.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 142

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა ტფილისსა და ქუთაისში სახალხო სასამართლოს დროებითი სესიების მოწყობის შესახებ—შრომის დაცვის წესების დარღვევის საქმეების განსახილველად**

რადგან გახშირდა შრომის დაცვის შესახებ გამოცემული დეკრეტებისა და წესების დარღვევა, საქართველოს სოც. საბჭოთა რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მიენდოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს, ზემო აღნიშნული საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტად, მოაწყოს თბილისსა და ქუთაისში სახალხო სასამართლოების არსებული შემადგენლობიდან დროებითი სესიები განსაკუთრებულ სიის სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით.
2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკველია.**

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ს. კარტოზია.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 15
თბილისი—სასახლე.

## დადგენილება № 143

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტისა ბანკების ლიკვიდაციის შესახებ**

1. ლიკვიდაცია ყველა ყოფილი, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო დაწესებულებათა მოკლე და გრძელ ვადიან (იპოტეკურ) კრედიტისა, მათ ნაციონალიზაციის გამო, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დაევალოს საქართველოს სახალხო ბანკის გამგეობას.
2. ხსენებულ დაწესებულებათა ლიკვიდაციის დაწვრილებითი დებულების შემუშავება მიენდოს საქართველოს სახალხო ბანკის გამგეობას სახალხო ბანკის საბჭოს დასტურით და ფინანსთა სახალხო კომისართან შეთანხმებით.
3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკველია.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 15
თბილისი—სასახლე.

**სარედაქციო კოლეგია.**

გამოვიდა და იყიდება
მოძრავი სამაგიდო კალენდარი
1922 წლისათვის

კალენდარი დასტამბულია კარგს სქელ ქაღალდზე. მისი შეძენა შეიძლება „გოსიზდატ“ ში, ლორის-მელიქოვის ქ., № 5, განათლების კომისარიატის შენობა. (6—6)

გაზეთების ძველ აგენტთა
საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა („გოსიზდატ“-ი) წინადადებას აძლევს საპროვინციო კონტრ-აგენტებს და იმ პირთ, რომლებიც თავის დროზე ასრულებდენ პერიოდული გამოცემების პროვინციებში გავრცელების საქმეს, მოაწყონ ჩამოტარებით გაყიდვა და ხელის მოწერის მიღება ყველა ცენტრალურ გაზეთებზე, და უჩვენონ, ამასთანავე, ყველა დაკვეთებისათვის მისამართი: „გოსიზდატ“-ში: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 5. დაკვეთებისათანავე, უნდა გაეგზავნოს „გოსიზდატ“-ს ფულის საჭირო რაოდენობა, ურომლისოდ გაზეთი არავის გაეგზავნება. (6—6)

მიიღება განცხადებები
გაზეთებში „კომუნისტი“, „პრავდა გრუზიი“, „კარმირ ასტღ“ და „ნოვაია მისლ“.

ფასი 1 სტრიქონ პეტიტში 15,000 მან. თეატრების, კონცერტების, ლექციების და შრომის წინადადებების მიღება განსაკუთრებული ნიხრის მიხედვით.

განცხადებათა მიღება წარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ“-ში), ლორის-მელიქოვის ქ. № 5, ტელეფონი 6—43. განათლების კომისარიატის შენობა.

გაგზავნა

გაზეთები: „კომუნისტი“, „პრავდა გრუზია“, „კარმირ ასტღ“ პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა დაწესებულებებსა და კერძო პირებს, რომლებიც არ გამოგზავნიან ხელის მოწერის საფასურს იანვრისა და თებერვლის თვეებისათვის 20 თებერვლამდე **უსათუოდ მოესპობათ.**

მისამართი და ხელის მოწერის ვადა უნდა აცნობონ არა ცალკე წერილით, არამედ აუცილებლად ფულის გადასატან საფოსტო ბარათზე.

1922 წლისათვის 1922 წლისათვის
მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „პრავდა გრუზია“-ზე
1922 წლისათვის
ხელის მოწერის პირობები:
ერთი თვით ტფილისში და პროვინციაში მიწოდებით 120.000 მან.
გაუგზავნელად 100.000 მან.
ერთის ნომრის ფასი ტფილისში 5000 მან.

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისა, ქოხ სამკითხველოთა და წითელ არმიელთა კლუბებისათვის 1 თვით გაგზავნით 60.000 მან, გაუგზავნელად—50.000 მან.

ხელის მოწერისა და განცხადებათა მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ“-ში, განათლების კომისარიატი, ლორის-მელიქოვის ქ. № 5) დილის 9 საათიდგან დღის 3 საათამდი.
ტელეფონი № 6—43.

ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა. კრუზენშტერნის ქ., № 4